საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
ხამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში— 300 მან. ცალკე № —10 მ.

წელიწადი მეექვსე.

სამშაბათი, ოქტომბრის 5. 1920 წ. № 113

ფასი 10 მანეთი

ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიის მთავარი კომიტეტი
მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.
მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

სახელმწიფო თეატრი
ოპერა
5 ოქტომბერს
ფაუსტი
მონაწ.: სპრიშევსკაია, ციჩკი, ოვსიანიკოვა ზალიპსკი, დროზდო პოლიაევი, საბინინი ეზროვი.
6 ოქტომბერს
პიკის ქალი
7 ოქტომბერს
სევილიის დალაქი
ოპერის დირექტორი: ს. ი. ევლახიშვილი

ყველას მიერ ცნობილი
რესტორანი
,,ბო-მონდი''
ვარანცოვის ძეგლთან
გაიხსნა 26 სექტემბერს საუკეთესო მოწყობილი კაბინეთები, ევროპიულ აზიური კუხნით, რომელსაც ხელმძღვანელობენ საუკეთესო მზარეულები. რესტორანი ღიაა დილის 9 საათიდან ღამის 12 სათამდე. სადილი 12—5 საათამდი. სადილის დროს უკრავს ცნობილი რუმინიის სიმებიანი ორკესტრი—ქორქაკა ბ. ქაკას ხელმძღვანელობით.
ყოველ დღე საღ. 9 საათიდან საოჯახო
კონცერტი-ბაზარი
საუკეთესო არტისტების მონაწილეობით.
რესტორანში საუკეთესო მოწყობილი ბუფეტი, სადაც მოიპოვება ადგილობრივ და საზღვარ-გარეთული სასმელები და ცნობილი ფირმის ღვინოები.
სადილი ორი თავიდან 150 მ.
სამი ,, 200 მ.
ოთხი ,, 250 მ.
სადილისათვის მზადდება ამორჩევით:
1. შჩი ნიკოლაევის
2. სუპი ,,სანქერენი''
3. ქათმის ბულიონი კვერცხით
4. ცოცხალი კარაქით
5. სოკო კვერცხით
6. მარინგო წიწილით
7. ხბოს ხორცი
8. გურიევის ქაშა
9. მოსედიუანი—ატმით.
საჩუქარი და პროცენტები მოხსნილია.
შრომის ჯგუფის ,,ბო-მონდის'' დირექცია.
3157. 1—1

განოვის ქუჩა № 3
ხუთშაბათიდან 7 ოქტომბრიდან **განახლდება** საჯარო ვაჭრობა შაქრის უკანასკნელი პარტიისა, რომელიც თბილისისათვის ცნობილი იყო თავისი
სიმაგრით და სიტკბოთი
იყიდება მარსელის ქარხნის
შაქარი მთელის თავობით და გირვანქის ქვეშ. განოვის ქუჩა № 3
1—3157—1

საჭიროა
მოსამსახურე ქალი.
მოიკითხეთ ,,საქართველოს'' კანტორაში. 4—7—

ქართული დრამისათვის სასწრაფოდ საჭიროა
თანამშრომელნი
რომელთაც მხოლოდ საღამოობით ექნებათ სამუშაო. მსურველნი უნდა გამოცხადდნენ კვირას, 3 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, სახელმწიფო დრამის თეატრში (ყოფილი არტისტიული, რუსთაველის პრ. № 21) 2—52—1

ფორტეპიანის კლასი
ია. ლ. პორტუგალოვის
მოწაფეთა მიღება ყოველდღე 12—3 და 5—7-დის. ველიამინოვის ქ. № 3 ქალაქის თვითმართველობის გვერდზე. 10—3130—9

ორი საზომი

ქართველ მენშევიკებს ორი ახსნა აქვთ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბუთებისათვის: ერთი საკუთრივ თავიანთი, ასე ვთქვათ, „მარქსისტული", „ისტორიულ მატერიალისტური";—ამ თვალსაზრისით დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო არის შედეგი „სამწუხარო ისტორიულ მოვლენათა წყებისა", სახელდობრ რუსეთში მომხდარ ბოლშევიკურ გადატრიალებისა, როდესაც მთელს რუსეთში სასტიკად იდევნებოდა ყველაფერი მენშევიკური და უფრო კი ქართველი მენშევიკები, როგორც ყველაზე უფრო მავნე ხალხი. ქართველი ერის თავისუფლების დაბრუნების ზემომოყვანილ „განმარტებაში" მეტად დახელოვნებული არიან ,,ერთობის'' პუბლიცისტები! ეს ადამიანები წარამარა წუწუნებენ ,,რუსეთის მთლიანი დემოკრატიული ფრონტის დაშლის გამო'', ან სხვანაირად რომ ვსთქვათ რუსეთის სახელმწიფოს დანაწილების გამო და, მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაც ჰმუნვას ჰკვრის ამ ჯურის პოლიტიკოსებს. ,,ერთობამ'' წინადაც საკმაოდ მოიხვეჭა ,,სახელი'' საქართველოს დამოუკიდებლობის წარმოშობის გმობაში. ,,ღრმა'' მარქსისტები ,,ვანისა'' და ს. დევდარიანის ტიპისა ეხლაც არ იშურებენ ,,საბუთებს'' თავიანთ ,,მარქსისტულ'' თეზისის დასაცავად და ამგვარად საქართველოს სახელმწიფოში გაბატონებული სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს არხეინად ანაცვლებს ,,რახიტიკულ თავებში'' აბნეულ ,,მეცნიერულ'' დასკვნას. გაყინულ დოგმების უსიტყვო მიმდევნი და გადაღეჭილ ,,თეორიის'' ყურმოჭრილი ყმანი, ქართველი მენშევიკები დღეს დონკიხოტურად ებრძვიან ,,ფეტიშს'' როგორც ისინი უწოდებენ საქართველოს თვითმყოფობას. ისინი მოურიდებლად აცხადებენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათთვის მისაღებია დროსა და გარემოების მიხედვით და როცა ეს დრო და გარემოება მოითხოვს ქართველ სოციალ-დემოკრატებისაგან კვლავ შეერთებას იმ სახელმწიფოსთან, რომლის მძიმე მონობა საქართველომ ასოცი წლის განმავლობაში ზიდა,—ისინი არ შედრკებიან ამის წინაშე და შეუერთდებიან „ძველ მფარველს". ეს მათი გულის ამოკვნესა ასე უნდა გავიგოთ: ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობას სცნობენ იმდენად, რამდენადაც გარემოებანი ხელს უწყობენ მათ ბატონობას ქართველ ხალხზე და თუ ოდესმე ჩვენს სოციალ-დემოკრატებს პიედესტალები დაემსხვრათ და თბილ ადგილებიდან გამოცვივდნენ, მაშინ ეს ხალხი საქართველოსაც დაამსხვრევს და საწყალ ფურად მიუგდებს რუსეთს...

სოციალ-დემოკრატებს მეორე ,,შეხედულებაც'' აქვთ ქართველი ერის პოლიტიკურ თავისუფლებაზე: ეს შეხედულება ბუნებრივია, პატრიოტული, ისეთი რაც უნდა შესისხლხორცებული ჰქონდეს ყოველ პატიოსანს, **სამშობლოს** მოყვარულ ქართველს. რას გვავალებს ეს შეხედულება? ქართველი ერის პოლიტიკური თვით გამორკვევა შეუძლებელია დაექვემდებაროს რომელიმე სხვა მომენტს, სულერთია ეკონომიურსა თუ საერთო სოციალურს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ქართველი ერისა ჩვენთვის აქსიომური ფორმულაა მუდამ ჟამს და არა მაშინ მხოლოდ, როდესაც ეს ჩვენ სუბიექტიურად გვრგებს. ეროვნულ ინდივიდუალობას ქართველი ერისას ჩვენ ვერ შევწირავთ ეკონომიკის სასარგებლოდაც და ,,საწარმოვო ძალთა განვითარებას'' ვერ წამოვასკუპებთ ნაციონალურად და სახელმწიფოებრივად განმზადებულ საქართველოს, თუ გინდ ყველაფრის მზიდავ კისერზე...

როგორა ხდება რომ მმართველი პარტია ,,ანელებს'' ამ ორ ანტიპოდურ იდეას? როგორ ახერხებენ ჩვენი დროის ჯადოქრები ცეცხლისა და წყლის შეთვისებას?

სოციალ დემოკრატებს ორი საზომი აქვთ მოვლენათა ასახსნელად: ასე სჩადის ყალბი მოვაჭრეც საქონლის გაცემაში—მისი არშინიც ორნაირად ჰზომავს..

როდესაც ჩვენი მენშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობის წარმოშობას უხსნიან თავისიანებს—ვინც უნდა იყვნენ ეს უკანასკნელნი, შინაურები თუ გარეულები—ისინი ყველა შ მოძღვრებაში ერთსა და იმავეს დიქტირებენ: მოხდა უბედური შემთხვევა, მოულოდნელად წაიქცა ჩვენი მფარველი ბუმბერაზი რუსეთი და მისი დემოკრატია და ჩვენც იძულებული გავხდით გამოვყოფილიყავით ამ დემოკრატიის მთლიან ფრონტს, ისინი ამითაც არ კმაყოფილდებიან და პროგნოსტიკულად გამოსთქვამენ, რომ მდგომარეობის გამოსწორებაზე (ესე იგი კვლავ რუსეთთან გაერთიანებაზე) იმედს არა ჰკარგავენ.

ევროპიდან ჩამოსულ სოციალისტურ დელეგაციასაც ასე ,,განუმარტეს'' საქართველოს მმართველებმა თავისი სამშობლოს პოლიტიკური განთავისუფლება!.

ჩვენ ვიცოდით, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ბევრად არ ეჭაშნიკებოდათ საქართველოს განთავისუფლება: მთელი ოცდაათი წელიწადი ეს ადამიანები სამშობლოს სიძულვილს უნერგავდნენ თავის მიმდევრებს და სთქვეფდნენ მას რუსის დემოკრატიის „ვინეგრეტ"-ში! კიდევაც გასაკვირია, როგორ დასტოვეს მენშევიკებმა ასე სწრაფად ათეულ წლობით დალურსმული „პრინციპები"!?

მაგრამ იმას, რასაც სოციალ დემოკრატები გულწრფელად უამბობენ ქართველ გლეხებსა და მუშებს, ან უცხო ქვეყნის სოციალისტებს, თავისთავად ცხადია ვერ გაუბედავენ იმ პირებს, ვიზედაც ბევრნაირად დამოკიდებულია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტა; მაშინ ხომ სულ უიმედონი იქნებოდნენ რესპუბლიკის დღევანდელი მესვეურნი! ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე ქართველი სოციალ-დემოკრატები თავის გულისთქმას მოხერხებულად ჰმალავენ. მათ უმტკიცებენ, რომ რუსეთმა ღალატურად გამოსტაცა ქართველ ერს სუვერენიტეტი და ვერაგულად გააუქმა საერთაშორისო სავალდებულო ნორმა, ხელშეკრულებათა დასაცავად რომ მიუღია კულტურულ კაცობრიობას. ევროპიელთ სწორედ ატყობინებენ მენშევიკები, რომ ქართველობა სახელმწიფოებრივად სცხოვრობს უხსოვარ დროიდან და წარმოადგენს სრულიად განთვისებული ეთნიურ კათეგორიას. ევროპიელ თავე საყურადღებოდ ჩვენი სოციალ დემოკრატები აცხადებენ, რომ ეროვნულ განთავისუფლებას ქართველი ხალხი ყოველთვის ეტრფოდა და დღეს უდიდეს ბრძოლით მოპოვებული დამოუკიდებლობის დასაცავად ეს ერი უკიდურეს საშუალებებს არ დაერიდება...

ასე ლაღადებენ მენშევიკების აგენტები რეალურ ევროპის წინაშე. ამავე აზრებს უფრო დარწმუნებით და მკაფიოდ იმეორებს სოციალ-დემოკრატების ოფიციალური წარმომადგენელი ,,იმპერიალისტურ'' ევროპასთან—საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, როგორც გადმოგვცემს პარიზის გაზეთი ,,ტან''ი.

ბოლოს და ბოლოს ვის უფრო დაუჯერებენ ევროპაში: ოფიციალურ განცხადების ავტორებს, თუ დევდარიანებს?...

* * *

ბატონ-ყმობისაკენ

როდესაც ჩვენ დღევანდელ მდგომარეობას პოლიტიკურს, სოციალურს, მორალურს—კაცობრიობის ისტორიის უსაშინელეს ხანებს ადარებთ, მათ შორის ბევრს მზგავსებას ამჩნევთ.

სოციალისტებმა, სანამ ისინი პოლიტიკურ ძალა-უფლებას ხელთ იგდებდნენ, ვინ იცის, რადარას არ დაჰპირდენ ხალხს. არავის დაჰვიწყებია ჯერ მათი სამიტინგო სიტყვები, რითაც ისინი ამტკიცებდენ, რომ შეიძლება ჩვენი ცხოვრება გაცილებით უკეთესად მოეწყოს ვიდრე ის მოწყობილი იყო. არავის დავიწყებია ჯერ კადევ, რომ სოციალ-დემოკრატიის გაუნათლებელი, არაფრის მცოდნე პროპაგანდისტები, რომლების რიცხვს უმთავრესად დაკეტილ ქარხნების მუშები შეადგენდა, დაიარებოდნენ სოფლად და ატყუებდნენ ქალს და კაცს: პური უფასოდ გექნებათ, აბრეშუმი არშინი ორი სამი შაური იქნებაო. ოღონდ გვერდში ამოუდექით ,,მუშათა პარტიას'', სოციალ-დემოკრატიას, და მის ბელადებს.

ხალხის მასსა გულუბრყვილოა: მას მართლაც სჯეროდა ამ ცრუპენტელების სიტყვები. ან რად არ უნდა დაეჯერებინა: მას ელაპარაკება „პიჯაკიანი" და ,,მანქეტიანი'' კაცი. ,,ალბად ნასწავლიაო'', ჰფიქრობდა თავის გულში ჩვენი გლეხი, ,,და ნასწავლს ხომ უნდა დაეჯეროსო''. და იგი ვერ ამჩნევდა, რომ თვითონ ის, უბრალო გლეხი, გაცილებით მაღლა იდგა გონებრივად და ზნეობრივად ამ მატყუარებზე, რომლებიც ევლინებოდენ მას სოციალიზმის მაქადაგებლების სახით.

განვლო დრომ. საშინელმა ანაქიამ მოიცვა ქვეყანა. ყველაფერი აირ-დაირია, გონება დაბნელდა და შეშინებულმა ხალხმა თავი შეაფარა მისთვის სანდო პირებს; საქართველოში გამეფდა სოციალისტური მთავრობა. მაგრამ დახეთ უკუღმართობას. არც ერთი დაპირება არ გამართლდა. ბედნიერების მაგივრად რომელსაც გვპირდებოდენ შიმშილია და სიტიტვლე. შრომის ნაყოფიერება მოისპო. რაც უწინ ორ-სამ საათში კეთდებოდა, ის ვერ კეთდება ერთს დღეშიც. ძველი ქონება იხაჯება, სამაგიეროდ ახალი არაფერი კეთდება. ყოველ დღეს ახალ-ახალი უბედურება მოაქვს. უმდიდრესი ნაწილები ჩვენი ქვეყნისა გავერანდნენ. აფხაზეთი, რომლის თამბაქო მარტო ეყოფოდა მთელს საქართველოს, დღეს გაჩანაგებულია. ორიოდე ქარხანა, სადაც რაღაც მზადდებოდა ან დაიკეტა ან დაკეტვის გზაზეა დამდგარი. არამც თუ ქარხნები, სახელოსნოებიც იკეტება: სახელოსნოს პატრონმა ვერ გაუძლო იმ გაზვიადებულ მოთხოვნილებებს, რომლების შესრულება დააკისრეს მას სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა. რვა საათის მუშაობით კი არა, თექვსმეტი საათიც რომ ვიმუშაოთ მაინც გაგვიჭირდება ხარჯების დაფარვა. რკინის გზის მუშებმა, როცა თავისუფლება იშოვეს, დაამტვრიეს ძველი ვაგონები და ძველი ,,პარავოზები''. გაფუჭებულის შემკეთებლები ან ახლის გამკეთებლები ვინ არის.

თუ კი ასე გაგძელდა ჩვენი ცხოვრება, ბატონ-ყმობის წესწყობილებას დავუბრუნდებით. ჩვენ განვაახლებთ იმ ხანას, როდესაც კაცი ხდებოდა სხვისი ყმად, თუ მას სარჩოს მისცემდნენ.

უკვე არის ამის უტყუარი ნიშნებიც. პირველი ნიშანია სახელმწიფოებრივ ორგანოების ავტორიტეტის განუსაზღვრელი ზრდა და პიროვნების უფლების თითქმის სრული მოსპობა.

მე ვამბობ არა სახელმწიფოებრივ ავტორიტეტზე, არამედ სახელმწიფოებრივ ორგანოების ავტორიტეტზე მათ შორის დიდი განსხვავებაა.

სახელმწიფოს ავტორიტეტი ჩვენში უმზგავსოდ დაეცა. ეს ყველასათვის ცხადია. მიზეზიც ადვილი გასაგებია. სახელმწიფო როგორც ერთი მთლიანი ორგანიზაცია, დღეს ჩვენს შინაურ საქმეებში არ არსებობს. დემოკრატიულ წესწყობილებაში ასეთ მთლიანობას ჰქმნის პარლამენტი, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს ცხოვრების კანონიერ მსვლელობას. საქართველოს დღევანდელი პარლამენტი კი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას და ამაშია სწორედ მთავარი მიზეზი ყველა უბედურებისა. ამის გამო, ჩვენში ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ თითოეული წარმომადგენელი აღმასრულებელი ძალისა განუსაზღვრელად ხელმწიფობს თავის დარგში: აკეთებს იმას, რაც მას მოეპრიანება და არავის არ აძლევს ანგარიშს თავის მოქმედებაში. თუ დღეს საქართველო კიდევ წარმოადგენს ერთს მთლიან ორგანიზაციას, ეს გამოიხატება უმთავრესად გარეშე სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში: ჩვენ გაერთიანებული ვართ არა ჩვენი საკუთარი, არამედ უცხოელთა პოლიტიკით. ჩვენი საკუთარი პოლიტიკა კი, როგორც სისტემა მოქმედებისა, არ მოგვეპოვება. ან საიდან გვექნება სისტემა, როდესაც ის ორგანო, რომელმაც უნდა ასეთი სისტემა შეჰქმნას, იმ სოც.-დემოკ. პროპაგანდისტებისაგან შესდგება რომლებიც სოფლის კოლექტივის ინტერესის იქით ვერ იხედებიან!

ამნაირად, საქართველო, როგორც მთლიანი ორგანიზაცია, დღეს არ არსებობს. ის დაყოფილია მრავალ სამთავროთ. არის სენაკის სამთავრო; ე. ი. სენაკის ერობა; არის სიღნაღის სამთავრო, ან ჩვენებურად, სიღნაღის ერობა მათ შორის კი ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილია.

შეიძლება მეტიც ითქვას. დღეს საქართველოში იმდენი ხელმწიფეა, რამდენიც სახელმწიფო მოხელეა. რა არის მოხელე, თუ არა ხელმწიფე, როდესაც არ არსებობს კანონი მისი მოქმედების შემოსაფარგვლელად!

დაბოლოს ერთი მცირე შენიშვნაც სურათის დასასრულებლად. მე ვთქვი,

დღეს.

ოსმალეთის ჯარი (ქემალისტები) სომხეთის წინააღმდეგ იერიშს აწარმოებს. სომხეთში სამხედრო წესები გამოცხადდა..

მთავრობამ იტალიაში არეულობა ჩააქრო.

მილიერანმა და ჯიოლიტმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, სადაც პრემიერები სთხოვენ პოლონეთს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას.

ფინეთსა და რუსეთის საზავო კონფერენციაზე უთანხმოებამ იჩინა თავი.

პოლონეთის ცნობით პოლონეთის ლაშქარმა ხელთ იგდო 25,000 ტყვე წითელ-არმიელი და 100 ზარბაზანი.

წერილები.

მეთაური: ორი საზომი.
ბატონ-ყმობისაკენ.
გ. გვაზავა: მოუსმინეთ ჰიუსმანსს.
მომარაგების გარშემო.
ფელეტონი: სპ. კედიას სიტყვა დამფუძნებელ კრებაში.
ჩვენი კორესპონდენტები:
ს. კეხვი.

რომ პიროვნების უფლებები საქართველოში თან და თან ისპობა. ჩვენმა მთავრობამ პიროვნება სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა.

ეს იდეა გატარებულია სხვათა შორის მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მოხელეს არ აქვს უფლება მიატოვოს თავის სამსახური და სხვა უფრო სახეირო საქმე გაიჩინოს. მაგალითად, თქვენ საბაჟოში მსახურობთ. არ მოგწონთ სამსახურის პირობები და გინდათ მიატოვოთ ადგილი. მაგრამ მთავრობის დადგენილების ძალით თქვენ აღკრძალული გაქვთ სხვა საქმეში შესვლა. მთავრობა გაიძულებთ იმუშაოთ იქ სადაც მუშაობდით, მიუხედავად თქვენი სურვილისა.

ამნაირად შრომის სტიმულად პიროვნების კეთილ სურვილის მაგივრად გამოცხადებულია სახელმწიფოებრივი იძულება, გარედან დაკისრებული მოვალეობა. ეს არის მონობის აღდგენის უტყუარი ტენდენცია, რომელიც ბუნებრივ განვითარებით ბატონ-ყმურ წესწყობილებამდის მიგვიყვანს.

თუ ასე იარა საქართველომ, ორი სამი წელიწადი საკმაო იქნება, რომ ის სრულიად დაუბრუნდეს საშუალო საუკუნოებს: გზები მოისპობა, მიმოსვლა შესწყდება, ქალაქები დაცალიერდება, ყველა სოფლად გაიხიზნება შიმშილობის შიშით და ერთი მთლიანი საქართველო დაიყოფა მრავალ სამფლობელოებად- კვლავ აღსდგება ბატონ-ყმობა ამ სამოცი წლის წინ მოსპობილი. კვლავ დაგვიბრუნდებიან ძველი დროის რაინდები. აი ეს არის ქართული სოციალიზმი. აი ეს მოიტანა „მუშათა პარტიამ, სოციალ-დემოკრატიამ“. აი ამნაირად აწინაურებს ჩვენს დაბეჩავებულ გლეხობას სოციალ-დემოკრატიული პარტია.

მივყავართ არა წინ, უკეთეს ცხოვრებისაკენ, არამედ უკან ცხოვრების გაუარესებისაკენ, უკან—ბატონ-ყმობის აღდგენისაკენ, უკან გაველურებისაკენ.

გაუგონეთ ჰუისმანს.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გუშინდელი წერილის შემდეგ, მგონი, არ იქნება ინტერესს მოკლებული შემდეგი ამბავიც.

მეორე ინტერნაციონალის მდივანი, ბ ნი ჰუისმანსი მე გავიცანი ამ ზაფხულს პარიზში. ერთ დილას შევიარე ჩვენს დელეგაციაში. დარბაზში ისხდნენ ირაკლი წერეთელი და ბ ნი ჰუისმანსი. ირაკლიმ გამაცნო იგი:

— აი, ეს გახლავთ ჩვენი მარჯვენა ოპპოზიციის წარმომადგენელი, იცავს ბურჟუაზიას და კაპიტალისტურ წარმოებასო, უთხრა ჩემზე ღიმილით და მეგობრულ კილოთი.

— არა, ბატონო, ვუპასუხე მეც ღიმილით: მე ვიცავ ეროვნულს და არა კლასობრივ ინტერესებს. მე დემოკრატი ვარ და სანამ თქვენ დემოკრატი ხართ, თქვენთან ვარ და თქვენთან თანავშრომლობ მეთქი.

— დაგავიწყდათ აგრარული რეფორმა? თქვენ არ მოითხოვდით მიწის გამოსყიდვას? დამეკითხა ბ-ნი ირაკლი.

— მართალია, ვუპასუხე მე—ჩვენ მოვითხოვდით მიწის გამოსყიდვას მემამულესაგან, ვინაიდან, ჩვენის აზრით, მუქთად ჩამორთმევა ქონებისა არის ტაციობა და არა დემოკრატიული პრინციპი.

ბ-ნი ჰუისმანსი, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და ყურს უგდებდა ჩვენს დავას, ჩაერია ბაასში და გაკვირვებით ჰკითხა ირაკლის:

— როგორ? თქვენ უსასყიდლოდ ჩამოართვით მიწა?!

— უსასყიდლოდ.

— დიდი შეცდომა ჩაგიდენიათ,— სთქვა ჰუისმანსმა: უსასყიდლოდ ჩამორთმევა ქონებისა—ბოლშევიკური პროგრამმა და არა ჩვენი, ნამდვილი სოციალისტებისა.

— ჰხედავთ. ბ ნო ირაკლი? მე ვყოფილვარ „ნამდვილი სოციალისტი“, თქვენ კი...

ირაკლიმ ჩაღუნა თავი, ალბად დავის გაგრძელება არ უნდოდა.

გ. გვაზავა.

„ერთობა“-„მომარაგების“ გარშემო.

„ერთობავ“ ყური დაუგდე რას გიწერს თვის უკანასკნელ ნომერში „ახალი სხივი“, ეს ყოველ კვირეული სოციალ-დემოკრატიული მუშათა-ორგანო. „ახალ სხივს“ ხომ თქვენი ხაპარლამენტო ფრაქციის საუკეთესო ინტელიგენტური ძალები-ფრაქციის ტვინი-ხელმძღვანელობს და ეს ჯგუფი ორგანიზაციულად ჯერ ხომ ისევ თქვენთა არის, ერთს მთლიან ორგანიზმში. „ახალი სხივი“ იმეორებს იმავე ბრალდებებს, რაც „საქართველომ“ წამოაყენა და დასძენს კიდევ ზოგ რამეს, მეტად საყურადღებოს. ამ საბუთებისათვის „საქართველოს“, ხომ „სპეკულიანტი“ დაარქვით და „დაქირავებული“ უწოდეთ, რას ეტყვით ახლა „ახალ სხივს“, ამ სიტყვებზე:

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ უკიდურესობას და ერისძეს არ ვთვლით დამნაშავეთ, რადგან უფლება არა გვაქვს მოვსთხოვოთ მას იმაზე მეტი რაც მის ძალღონეს შეეძლო (ძლიერ ხშირად მეპრესე) აღემატება,

მაგრამ ვერც „ერთობას“ მივბაძავთ, რადგან ის ყველაფერს ამართლებს და მოვლენებს ხშირად ისე აშუქებს, თითქოს ყველანი ბრმა ბედის წერის მონები ვიყვნეთ. არ არის კარგი, როცა ყველაფერს ობიექტიურ პირობებს აბრალებენ და ყოველ დამოლაშქრებას ერისძის წინააღმდეგ ხსნიან ერისძის წასვლის სურვილით.

შეიძლება, გაზეთ „საქართველოს“ მართლა ქონდეს ასეთი სურვილი, მაგრამ „ახალმა სხივმა“ ხომ უფრო ადრე გამოაქვეყნა კახელაძის საგმირო საქმეები. (მერე და ახალ სხივს „ერისძის წასვლა არ უნდა? მეპრესე) და რად ხდება მუდამ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო არც ერთხელ არ გამოაქვეყნებს ხოლმე ამა თუ იმ პასუხის მგებელ პირის საძრახისს საქმეს.. (ჩვენც ამას ვეკითხებით).

კახელაძე ჩვენს რედაქციის პასუხის გებაში მიცემით დაემუქრა ახალ ამბების განყოფილებაში გამოქვეყნებული ცნობებისათვის. რატომ იყო მასი ენა მაშინ ისე მაგარი და შეურიგებელი. და როცა მის საპასუხოთ ჩვენ გამოვაქვეყნეთ გრ. საყვარელიძის დასაბუთებული წერილი კახელაძის უსუყუარ ბოროტ-მოქმედების შესახებ. რატომ სრულიად წაერთვა ენა იმავე კახელაძეს.

მაგრამ საკვირველი ის კი არ არის რომ კახელაძემ ბოლოს და ბოლოს უკან დაიხია და თავი გაანება ჩვენს. რედაქციას; საკვირველი არც ის არის, რომ, მომარაგების სამინისტრომ კახელაძე ადგილიდან არ გადააყენა და რევიზიის დანიშვნა მას წინ და წინ აცნობა, გააფრთხილა...

მაშ რად მოხდა, რომ, როცა „სხივმა“ და „ეშმაკის მათრახმა“ გაილაშქრეს კახელაძის წინააღმდეგ, „ერთობა“ პირში წყალ ჩაგუბებული იყო და ხმას არც დღეს იღებს.

შეიძლება ეს წვრილმანი იყოს, მაგრამ კახელაძეს ხომ არც მიწათ მოქმედების სამინისტროში სამსახურის დროს გამოუჩენია დიდი ღირსებები, და განა მარტო კახელაძეა ასეთს პირობებში; რატომ მაინცა და მაინც სერგო დანდუროვი იქნა დანიშნული მომარაგების სამინისტროს სამსახურში მას შემდეგ, როცა ის საიმედო პირად არ არის ცნობილი თვით პარტიული სასამართლოს განაჩენით?...

რასაკვირველია, „ერთობას“ შეუძლია ასეთ რამეებზე არ სწეროს, მაგრამ რა საჭიროა საქმის ისე გაშუქება, ვითომ მარტო სპეკულიანტებს უხარიათ ერისძის წასვლა. საქმე წასვლაზე კი არ არის. თუმცა რაც ამას წინათ „ერთობამ“ დასწერა სასურსათო საქმის გამო, არსებითად ის ნიშნავდა სწორედ იმას, რასაც თუნდაც „საქართველო“ სწერს. კვლავ იბადება კითხვა: რად მოხდა, რომ „ერთობამ“ არა თუ ვერ დაიცო ის დებულება, რომელიც მან თვითონ წამოაყენა მოწინავეში, პირიქით ახლა სულ სხვა ფრონტზე დაიწყო ბრძოლა. ეს მოხდა რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მთავრობას მიეცეს შესაფერი დირექტივები, როგორც „საქართველო“ ფიქრობს არამედ იმიტომ, რომ „მმართველი“ პარტია ს ნამდვილეში არ არის მმართველი. თორემ იმ მოწინავის შემდეგ, რომელიც „ერთობაში“ დაიბეჭდა, იმ შეხედულების გამო, რომელიც მომარაგების სამინისტროს შესახებ არსებობს ხალხში. ფრაქციის ბიუროს და დამფუძნებელ კრების საფინანსო კომისიაში თუ არა ფრაქციის დიდ ნაწილში მაინც, ერისძე არ უნდა დარჩენილიყო მომარაგების მინისტრად.

მაშ რაშია საქმე, ვინ მართავს ქვეყანას?

და თუ მაინც რჩება, ეს იმას ამტკიცებს, რომ მას თავისებურად ესმის წარმომადგენელი მინისტრის და მოქალაქის მოვალეობა. პირველად მან მაშინ გამოიჩინა ეს თავისებურება, როცა იკისრა საქმე მისთვის უცნობი საქმე მომარაგებისა მაგრამ იმ დროს მაინც ასე ფართოდ არავის ქონდა წარმოდგენილი ერისძის მომავალი როლი მომარაგების უწყებაში. ამავე ვინ წარმოიდგენდა მაშინ რომ გამოუცდელი და ამ საქმეში უცოდინარი ერისძე თან და თანობით გადაიტანდა თავის პორტფელში ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს ყველა საქმეებს.

რად მოხდა ეს ასე?

ალბათ იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ძალაშია: როგორიც ერი, ისეთი მღვდელიო. ალბათ. მაგრამ შესაძლებლობის სფეროში მაინც უნდა ვიმოქმედოთ. და ეს შესაძლებლობა არც ისე უიმედოა, თუ საქმეს სერიოზულად შევხედავთ და პიროვნების როლს არ გავაზვიადებთ: ჩვენ ხშირად ისე ვიქცევით, რომ სისტემისათვის კი არ ვეძებთ გამოსადეგ პირებს, არამედ ჯერ ხათრიან კაცს ვიშოვით და შემდეგ სისტემას შევქმნით იმის გემოვნებაზე. (ხაზი ჩვენია)

რატომ ხდება ასე? ალბათ — დანგრევა — შენების ხანაში ერთობ ძლიერია ბოლშევიკური მეთოდების გავლენა. მაგრამ უმჯობესია მართველი შეეგუოს სისტემას და ყოველ შემთხვევაში სისტემა არ იდრიკებოდეს მმართველის სურვილისამებრ.

ერთობ ცვალებადია კერძო პირის ნება სურვილი. საჭიროა მეტი კონტროლი, ფხიზელი თვალი და არა წყვედრება: მე აშენება მინდა ქვეყნის შენ კი დანგრევაო.

ეს ჩვეულება ძველი დროის ნაშთს წარმოადგენს და მისი განდევნა აუცილებელია.

და ვინც ავადმყოფური პესიმიზმით არ არის შეპყრობილი, ვალდებულია ებრძოლოს ამ ველურობას.

„ახალი სხივი“, ხომ სპეკულიანტი დაქირავებული არ არის?

„ერთობა“ თავის თავს მუშტს უშვერს და ცხვირ პირს ილეწავს, მოარცხვად მართალია, მაგრამ მაინც... და ეს იმ ჩვენი მხილებისა და ბრალდებების შესახებ, რომელიც მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ წამოვაყენეთ და რომლისთვისაც უპრინციპო „ერთობამ“ ჩვენი გასალანძღავად მთელი თავისი უღირსი ლექსიკონი ამოსწერა.... „ერთობა“ სწერს:

„დარჩა მესამე გზა—ეს გზა ძველი ნაცადი გზაა: მუშათა მოთხოვნილების უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას ბევრი დეფექტები აქვს, მის დატოვება დღევანდელ მდგომარეობაში შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს. საჭიროა მისი განახლება, ახალი სულის ჩაბერვა, მისი სწორედ ამოძრავება სისტემატიური და რეგულიარული ხასიათის მიცემა. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლიათ აღნიშნულ ორგანიზაციას მასზე დაკისრებულ მოვალეობის ასრულება. საჭიროა მეტი ინიციატივის, მეტის ენერგიის გამოჩენა. მკაცრი თვალყურის დევნება ყველა მის განყოფილებებს! მომარაგების სამინისტროს განყოფილებებში დანიშნულ პირებს. ზედამხედველ გამგეებს უნდა უმაღლესმა ორგანომ აგრძნობინოს პასუხისმგებლობა. დღემდის ეს ასე არ არის: ადგილი აქვს ბოროტ-მოქმედებას. დაუდევრობას უპასუხისმგებლობას (ხაზი ჩვენია)

„ერთობავ“ თქვენც ხომ სპეკულიანტი და დაქირავებული არა ხართ, სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პირისაგან.

ახალი ბოლშევიკური გაზეთი

თბილისის პრესსას ახალი ბოლშევიკური საორშაბათო გაზეთი შეემატა: „პონედელნიკ“.

მართალია, რედაქცია აცხადებს, რომ ის დემოკრატიული მიმართულების გაზეთია და, თითქოს ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ნიადაგზედ სდგას, მაგრამ გაზეთის მეთაურიდან, უკანასკნელ საინფორმაციო ცნობამდე, აშკარათ გამოსჭვივის მისი ნამდვილი სულის კვეთება „იგი ასეთ სტრიქონებს უძღვნის რუსეთ საქართველოს განწყობილებას:

„როგორი უთანხმოებანიც არ უნდა ყოფილიყვენ წარსულში საქართველოსა და რუსეთის დემოკრატიათა შორის, უნდა მოინახოს საერთო ენა, რადგან მათი საბოლოო მიზანი ერთი და იგივეა, ორივეს ერთი და იგივე მისწრაფებანი აქვთ“.

მაშასადამე, საქართველოს და რუსეთის ბოლშევიკების მიზნები ერთი და იგივე ყოფილა!

და შემდეგ გაზეთი ჰბეჭდავს მხოლოდ იმ დეპეშებს, რომელთაც ბოლშევიკების მისსია იძლევა და იმ ცნობებს, რომელნიც ბოლშევიკების, თითქოს, დადებით მხარეებს აღნიშნავენ და დასასრულ მოჰყავს გოროდეცკის ფელეტონი მოსკოვის „იზვესტიის“-დან, რომელშიც ავტორი ქებათა ქებას უძღვნის ბოლშევიკურ წყობილებას.

ჩვენ ვაფრთხილებთ მკითხველ საზოგადოებას!

შავი ზღვის ნაპირებზე

საღამოს, ენკენისთვის 30:ს ბათომში მოვიდა ცნობა ტრაპეზუნდში ქემალისტების ჯარის შემოსვლის შესახებ.

ბათომიდან ტრაპეზუნდისკენ მოვიდა ინგლისური ნაღმოსანი.

ბათომის პორტზე უცხოეთის ნაღმოსნები სდგას. ინგლისის გემებს თან ახლავს უზარმაზარი კრეისერი გიდრო პაეროპლანების ბაზად.

ამბობენ, რომ ბათომის პორტზე უცხოეთის გემების გამრავლებას დიდი პოლიტიკური ხასიათი აქვს და დაკავშირებულია, ვრანგელის სამხედრო ოპერაციებთან.

ყირიმიდან ბათომში სამი დღეა რაც ცნობები არ მიუღიათ.

დეპეშები.

ფრანგული ცნობები.

ბირჟის კურსი. ლონდონი 51,88 ნიუორკი 1484 და ნახ. ბელგია 105 ერთი მეთორმეტედი, იტალია 61 ერთი მეოთხედი, პრაგა 19 07 ერთი მერვედი, რუმინეთი 28 ერთნახევარი, შვეიცარია 238 ერთნახევარი.

გერმანული ცნობები.

ვენა. გერმანიასთან შეერთების საკითხის გადასაწყვეტათ ეროვნულმა ყრილობამ პლებისციტის მოწყობა დაადგინა. „ფორვერტსი“ აცხადებს რომ გერმანულ ავსტრიას არ შეუძლია იცხოვროს დამოუკიდებლად თუ მას არ ექნა ნახშირი და ზღვისაკენ გასავალი. მაგრამ ავსტრიამ მისცა გერმანელებს ბევრი გამოჩენილი მუსიკოსი, პოეტი, მწერალი და არტისტი. ახლა მას არ შეუძლია მოიყვანოს სისრულეში იანვრის პირველ ხანებში, ზეიმით განცხადებული გადაწყვეტილება გერმანიასთან შეერთების შესახებ. „ფორვერტსი“ დარწმუნებულია რომ პლებისციტი შეერთებას მოითხოვს, მაგრამ მიუხედავათ ამისა ანტანტას არ შეუძლია დაეთანხმოს მას. „ბერლინერ ტაგებლატი“ მიესალმება ვენის გადაწყვეტილებას, როგორც გარდაუვალ მოძრაობის ნიშანს.

დამოუკიდებლები და ბოლშევიკები.

დამოუკიდებლების ორგანო „ფრაიჰაიტი“ არ ღებულობს მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტის პროტესტს, რომელიც მიმართული იყო სოციალისტურ პარტიის მიერ გამართულ სოც. მიტინგის წინააღმდეგ „ფრაიჰაიტი“ პროტესტს აცხადებს დამოუკიდებელთა პარტიის იმ წევრთა შეურაცყოფის გამო, რომლებმაც არ იცვნეს მოსკოვის ინტერნაციონალის დიქტატურა.

ვრანგელის გამარჯვება.

თანახმად გენ. ვრანგელის ცნობისა ალექსანდროვის რაიონში ბოლშევიკური ჯარი 2000 ვერსის სივრცეზე განადგურებული არის. ამასთანავე გენ. ვრანგელმა დიდ ძალი სამხედრო მასალა იგდო ხელში და 10000 ტყვე წამოიყვანა.

საქსონიის განცხადება.

თანახმად საქსონიის შრომის სამინისტროს განცხადებისა საქსონიის მაღაროებში ზედმეტ სამუშაოს შემოღების გამო რურის ხეობაში მაშინ როდესაც 1919 წ. ივნისის დღეში 256000 ტონ ნახშირს იღებდენ, 1920 წ. სექტემბერში ყოველ დღიურად 342000 ტონი ამოუღიათ. გერმანიას ამ რიგად შეუძლია მოიყვანოს სისრულეში სპის კონფერენციის დადგენილება ნახშირის მიწოდების შესახებ.

საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

მდგომარეობა იტალიაში.

რომი, 26 9. პრესის ცნობით იტალიის პოლიტიკური მდგომარეობა უმჯობესდება. მთავრობამ გადასწყვიტა მუშებისა და მრეწველობის დამოკიდებულებაში ჩარევა, წითელი დროშები თითქმის ყველა ქარხნიდან გაქრა, სოც. აღ. კომიტ. ტურინში აფრთხილებს თავის წევრებს ანარქიულ გამოსვლას ნუ მიაბაძვენთო. პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს ამ კრიზისის დასრულებას „კორიერა და ლასერას“ აზრით იტალიის მუშებმა დიდი გონიერება და სიფრთხილე გამოიჩინეს. „ჟურ. დ-იტალიის ცნობით კრიზისის დასრულება მთავრობის ჩარევამ გამოიწვია.

საბჭოთა რუსეთის ელჩი იტალიაში.

რომი, 35 9. „ტრიბუნა“ იუწყება: საბჭოთა მთავრობა იტალიაში კომერციულ წარმომადგენლად ვოროვსკის მაგივრად ლიტვინოვს ნიშნავსო. მოკავშ. სახელმწიფოები წინააღმდეგი არიან ამ დანიშვნისა. ვინაიდან ლიტვინოვი გამოძევებული პიროვნება არისო, იტალიაც დაეთანხმა მოკავშირეებს. შესაძლებელია კრასინი დაინიშნოს კომერციულ წარმომადგენლად.

ბოლშევიკები კიევში.

„ტანის“ ცნობით ბოლშევიკების მიერ კიევის აღების დროს მათ მცხოვრებლებს 500 მილ. კონტრიბუცია დაადვეს. პოლონებისაგან დატოვებული ქონებას კიევში კონფისკაცია უყვეს.

რუსეთის მუშათა დელეგაცია.

პარიზი, 29 9. მიღებული ცნობებით რუსეთის მუშათა დელეგაციის წევრები ქრისტიანიიდან გერმანიისაკენ წავიდენ.

ომის მიზეზების გამომრკვევი კომისია

სტამბოლი. 29 9. ომის დაწყებაში დამნაშავეთა გამომრკვევმა ოსმალეთის კომისიამ მუშაობა დაიწყო. მის გამგებლობაში შედის, როგორც ევროპის აგრეთვე ბალკანეთის ომის გამოწვევის და დამნაშავეთა გამორკვევა.

კრატერი კაპუანის მთებზე.

რომი, 23 9. სპეციიდან იუწყებიან: პიზანელოს მწვერვალზე კაპუანის მთებში, გაიხსნა კრატერი. მიწიდან ძლიერი გუგუნი ისმის, კრატერიდან ამოდის ცეცხლი, კვამლი და გოგირდის სუნი.

„დეილი-გერალდის“ სუბსიდია.

პარიზი, 22 9. „ტანი“ ბეჭდავს ლონდონის კორესპონდენტის დეპეშას, რომელიც იუწყება: „დეილი-გერალდმა მიმართა თავის მკითხველებს შეკითხვით უნდა მიიღოს თუ არა გაზეთმა ბოლშევიკების სუბსიდია 75000 გირ. სტერლინგის სახით. ინგლისის სიბა აღნიშნავს, რომ კამენევმა და კრასინმა „დეილი გერალდის“ დახმარებით ინგლისის ბაზარზე რუსეთიდან მოტანილი ძვირფასი ლითონით მრავალი პირობა დასდვესო.

მოკავშირეთა პრემიერის დეკლარაცია რუსეთ პოლონეთის შესახებ.

პარიზი, 23 9. „ტანი“ გადმოგვცემს ჯიოლიტისა და მილიერანის თათბირზე გამოიმუშავეს დეკლარაცია რუსეთ პოლონეთის საკითხის შესახებ.. დეკლარაცია წინადადებას აძლევს პოლონეთს პატივი სცეს მეზობელ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და რაც უნდა მოხდეს რუსეთთან ომი დაასრულოს და აგრეთვე ლიტვასთან დასდოს ხელშეკრულება საბჭოთა მიერ ჩაურევლად.

ოსმალეთის შეტევა სომხეთზე.

სომხეთის ჯარის მთავარსარდლის შტაბის ოპერატიული ცნობები 1 ოქტომბრიდან.

სარაყამიშის მიმართულებით.

— ენკენისთვის 28 ღამით ოსმალთა ურდოების საგრძნობმა ძალებმა გადმოლახეს საზღვრები და იერიში მიიტანეს ქ. სარაყამიშზე და ერთსა და იმავე დროს ბარდუსიდან ყარაყურთამდე. მტრის ჯარების შემოტევის გამო ჩვენი ჯარების ნაწილები იხევენ სარაყამიშისკენ. ოსმალთა მხრივ 2 მთელი დივიზია მოქმედობს.

სარაყამიშის დაცლა.

— ენკენისთვის 29 ს ღამით ოსმალთა ძლიერ ძალების შეტევის გამო ჩვენ დავცალეთ სარაყამიში. ვინაიდან ვერინზანთ მტერს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეთ, მტერმა ვერ სძლია ჯარის ის ნაწილი, რომელიც სარაყამიშს იცავდა, ზურგიდან მოჰქცეოდა ასე რომ დახევა ჩვენი ჯარებისა წესიერად შესრულდა.

იგდირის მიმართულებით

—ენკენისთვის 29 იგდირთან ქურთები და ოსმალები აქტივობას იჩენენ, 28 ენკენისთვეს მათი მზვერავები სოფ. არგაჯთან გაჩნდნენ.

ნოვოსელიმის მიმართულებით.

— ენკენისთვის 30 შეტაკება გრძელდება. ოსმალები ირგვლივ უვლიან სოფ. გარან ვირთანს. მიღებულია საწინააღმდეგო ზომები. ღვინობისთვის 1 ს ბრძოლა ამ რაიონში სწარმოებდა ძველ პოზიციებზედვე.

— სოფ. ოლინლუხთან. ენკენისთვის 31-ს მოწინააღმდეგე არტილერიის ზარი გამაჯანჯღური შეტევა გადმოვიდა და სოფ. [illegible] ძალიან ჩვენი [illegible] წილების მიერ უკუგდებულ იქმნა.

სომხეთის დიპლომატიური მისიისაგან.

(ოფიციალური განცხადება)

სამხედრო წესები.

— მთელ სომხეთის ტერიტორიაზე სამხედრო წესები გამოცხადდა.

მობილიზაცია.

— გაწვეულნი არიან ჯარში 35 წლამდის ყველანი.

სასჯელი დეზერტირობისათვის.

— თანახმად მთავარ სარდლის ბრძანებისა დეზერტირობა სომხის ჯარში სიკვდილით ისჯება.

ტელეგრაფის შეწყვეტა.

— მესამე დღეა ტელეგრაფთან სატელეგრაფო კავშირი შეწყვეტილია.

რკინის გზებზე.

რკინის გზების მთელ ლაინდაზე სამხედრო წესებია გამოცხადებული.

ეროვნული ლოზუნგი.

— მთელ სომხეთში დიდი პატრიოტული აღგზნებაა. ხალხის ლოზუნგია: „მთელი განსაცდელშია. სულ ფრონტზე, სულ ფრონტისათვის“, მთელ სომხეთში ახალგაზრდობა მობილისება ეწერება.

გაზეთ „პონედელნიკ“ში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „ჩვენმა თანამშრომელმა სომხეთის დიპლომატიურ მისიისაგან ქემალისტების შემოტევის შესახებ მიიღო შემდეგი ცნობა: ოსმალეთმა იერიში მოაწყო სამი მიმართულებით ოლთისით, სარიყ მიშისა და ყარაყურთით. მათი მთავარი მიზანია ყარსის [illegible] ქის დაჭერა და საერთოდ იმ ტერიტორიის დაკავება, რომელიც ჩამოშორდა ოსმალეთს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ძალით. სომხეთის მთავრობამ ქემ [illegible] და ამის შესახებ მიწერ-მოწერა [illegible] მთავრობასთან და გამოირკვა, რომ ქემალისტები ყოველ გვარ ღონეს [illegible] თავენ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ჩამოშორებულ ტერიტორიის მოსაპოვებლად. ამ მხრით აზერ [illegible] გზათა [illegible] თავმჯდომარის [illegible] სნულაბის განცხადება კატეგორიული ხასიათის იყო. ენკენისთვის [illegible] ქემალისტების [illegible] [illegible] სომხეთის ჩრდილოეთ [illegible] მოუ [illegible] რი ორივე მიმართულების კონტრ[illegible] ზე გადავიდა და აღადგინა ძველი [illegible] მარეობა. ხმები,—ოსმალების მიერ [illegible] ყამიშის აღების შესახებ მართალი არის, მაგრამ ივაჟული კი [illegible] ნელია მტრის ძალების ხიმრა [illegible] მდგომარეობა ერთობ რთულია და [illegible] ხეთის მთავრობამაც მიიღო უკი [illegible] რი ზომები. ოქტომბრის პირველ [illegible] ხვებში სომხეთის საგარეო საქმეთა [illegible] ნისტრმა ოგაჯანიანმა საპროტესტო [illegible] ტით მიმართა ჩიჩერინს ქემალის [illegible] შემოტევის გამო ისეთ დროს, რო [illegible] საც სომხეთის და საბჭოთა რუსეთის [illegible] რის საზავო მოლაპარაკება სწა [illegible] ებს.

აზერბაიჯანის რევოლიუციონერ [illegible] მი [illegible] თავმჯდომარის ნარიმანოვის [illegible] სიტყვიდან გამოირკვა, რომ აზერბაიჯ [illegible] ნიდან მოსალოდნელი სომხეთის [illegible] ნამდვილ ბრძოლა“.

მთავრობის თავმჯდომარე პურის შესახებ.

იმ უვარგისი პურის გამო, რომლითაც მომარაგების სამინისტრო კვებავს ხალხსა და რომლის გარშემოც თუ მთელი რიგ ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი ბრძანება გასცა:

„განვიხილე რა ორი მოხსენება შესახებ პურის დამზადებისა თბილისში—ერთი მოხსენება ჩემ მიერ დანიშნულ რევიზორის გ. ხუნდაძისა, ხოლო მეორე შრომის სამინისტროს და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიისა, ცალკეულად ვსთვლი შემდეგს.

თბილისში პურის რიგიანად დამზადების და გამოცხობის საქმეს არ ყოლია არც ერთი გულშემატკივარი და მზრუნველი მომუშავე.

ყველას, ვისაც კი პურის დამზადებასთან ქონდა საქმე, დაწყებული ხორბლის გამყიდველ გლეხით და გათავებული მეფურნით, სცდილობდა პურის გაფუჭებას და ამ გვარათ სარგებლის მიღებას.

მომარაგების სამინისტროს რწმუნებულთა მიერ ნაყიდ ხორბალში ნამდვილი პური არის 40—45 პროც. დანარჩენია ქვიშა, ქვა, ბალახი, ჩალა, მათრობელა, ბრუალა და სხვა უვარგისი მასალა. ასეთი ხორბალი მიდის წისქვილში, სადაც მეწისქვილე ვალდებულია გაანიავოს, გაცხრილოს და მერე დაფქვას. ნამდვილათ კი მეწისქვილეთა დიდი უმრავლესობა არა თუ არ სწმენდს ხორბალს, პირიქით თვითონ უმატებს ყოველნაირ ნაგავს, რაც კი ხელში მოხვდება, ოღონდ დაფქვილი გაამრავლოს და პურის ქვილად გაასაღოს. ხშირად ფურნეში აგზავნიან ისეთ რაღაც ფხვნილს, რაშიაც პური სრულიად არ მოიძებნება. ბოლოს მეფურნე აცხობს ისეთი ფორმის და ზომის პურს, რომ მისი რიგიანად გამოცხობა შეუძლებელია და ამით პურს ამძიმებს.

მივიღე რა მხედველობაში ეს შემაძრწუნებელი დაუდევრობა და ბოროტმოქმედება დავადგინე:

1) გადაყენებულ იქნან და სამართალში მიცემული მომარაგების სამინისტროს რწმუნებულნი, რომელნიც ყიდულობდნენ უვარგის ხორბალს, ხოლო ასეთი ხორბლის გამყიდველნი დასჯილ იქნან ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებით, რისთვისაც მომარაგების სამინისტრომ გასცეს სავალდებულო დადგენილება.

2) გამოეცხადოს საყვედური თბილისის ქალაქის გამგეობას, რომლის ხელშია პურის დაფქვის და გამოცხობის საქმე, ასეთი უმაგალითო დაუდევრობისათვის.

3) დათხოვნილ იქნას სამსახურიდან სასურსათო განყოფილების გამგე რუხაძე, რომლის პირდაპირ დანიშნულება იყო პურის საქმისათვის ყურის გდება.

4) დათხოვნილ იქნას სამსახურიდან შრომის სამინისტროს და ქალაქის მიერ დანიშნული კონტროლიორები, რომელნიც ხედავდენ ყოველივე სისაძაგლეს და ხმას არ იღებდენ.

5) დაპატიმრებულ იქნას სამ სამი თვით ციხეში მეწისქვილენი იაკუბოვი, დადარიანი ალიხანოვი და მისი მუშა ხაჩატურ ეგოიანი, ქალაქის კონტროლიორი სანოვიჩი, სატეხნიკო განყოფილების გამგე ბურიოგი, ხოლო დანარჩენი წევრები ამ განყოფილებისა დათხოვნილ იქნან სამსახურიდან. დათხოვნილ იქნას სამსახურიდან და სამი თვით დაპატიმრებული კახეთის რკინის გზის აგენტი კუკულაძე, რომელიც მეწისქვილე ალიხანოვთან ერთად იღებდა მონაწილეობას პურის გაფუჭებაში.

პურის საქმის გამოსაკეთებლად და ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია მიღებულ იქნას ვისგანაც ჯერ არს შემდეგი ზომები:

1) ხორბლის გაწმენდა ხდებოდეს ერთ ადგილზე, საიდანაც გაწმენდილი ეძლეოდეს წისქვილებს.

2) იმ წისქვილთა საწყობებში, სადაც იფქვება მომარაგების სამინისტროს ხორბალი კერძო პირთა ხორბლის შენახვა აიკრძალოს. საწყობი იკეტებოდეს ორი ბოქლომით. ერთი გასაღები ებაროს წისქვილის პატრონს ან მის რწმუნებულს, მეორე—სასურსათო განყოფილების აგენტს, რომელიც თვალყურს ადევნებს ხორბლის მიღებას, დაფქვას და ჩაბარებას.

3) ხორბლის გაცემა და ფქვილის მიღება წისქვილიდან საწყობში ხდებოდეს აგენტის თანდასწრებით.

4) ყველა წისქვილში აგენტმა აწარმოოს შემოსავალ გასავლის წიგნი, რომელშიაც აღინიშნოს რაოდენობა ხორბლისა, ფქვილისა, ქატოსი და სხვა.

5) აგენტების მორიგება ხდებოდეს 3 ჯერა განუწყვეტლივ დღე და ღამეში.

6) მორიგე აგენტს დაევალოს აგრეთვე საფქვავის სისუფთავეზე თვალყურის დევნა და მორიგების დროს წისქვილში და საწყობში განუწყვეტლივ ყოფნა.

7) ქატო არ ინახებოდეს წისქვილის საწყობებში ერთ კვირაზე მეტი, გარდა იმ ქატოსი, რომელიც მეორედ უნდა დაიფქვას.

8) აგენტები, რომლებიც სამ ჯერად მორიგეობენ ერთსა და იმავე წისქვილში ერთ კვირაზე მეტი. ამ ვადის შემდეგ ისინი გადადიან სამორიგეოდ მეორე წისქვილში.

ჩემ მიერ დანიშნულ რევიზორს გ. ხუნდაძეს ვავალებ განაგრძოს თვალყურის გდება პურის დამზადებაზე.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

მთავრობის საქმეთა მმართველი **კ. ჯაფარიძე.**

კარლ კაუცკი თბილისში.

კვირას, ოქტომბრის 3 შესდგა კ. კაუცკის დღე. დილის 10 საათიდან მუშათა სასახლესთან დაიწყო თავის მოყრა წითელ დროშებით პროფ. კავშირებმა, სახალხო გვარდიელებმა და მოწაფეებმა. დღის 12 საათზე პროცესია კაუცკის ბინისაკენ გაემართა. აივანზე გამოვიდნენ კაუცკი მეუღლით, ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი მათ გამოსვლას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. შემდეგ თავისუფლების მოედანზე შესდგა მიტინგი. პირველად ილაპარაკა ს. ჯიბლაძემ, რომელმაც ს. ქ. სოც. დემ. პარტიის სახელით მისასალმებელი სიტყვა უთხრა კ. კაუცკის, შემდეგ ილაპარაკა ნ. რამიშვილმა და ბოლოს გამოვიდა კ. კაუცკი, რომლის სიტყვაც ქართულად დ. შარაშიძემ გადათარგმნა ორატორების სიტყვა ცალკე დაიბეჭდება.

ეროვ. დემოკ. პარტიაში.

ბათომის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიისა აცხადებს პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ კომიტეტის ბინა და პარტიული ბიურო მოთავსებულია შეპელოვის ქუჩაზე კომერციულ კლუბის შენობაში. თანახმად კომიტეტის დადგენილებისა ყველა წევრთათვის სავალდებულოა ხელახალი რეგისტრაცია, ახალი წევრები კი მიიღებიან ორი წევრის რეკომენდაციით. ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე.

ახალი ამბები:

სამინისტროებში.

— **ფინანსთა სამინისტროში.** ქალაქების საბიუჯეტო უფლება: ფინანსთა მინისტრმა დაავალა თავის თანამშრომლებს სასწრაფოდ დაამუშავონ კანონპროექტი სახელმწიფოს, ერობათა და ქალაქთა საბიუჯეტო უფლების შესახებ. ამ ახლო ხანში კანონპროექტი დამთავრებული იქნება და მთავრობას წარედგინება განსახილველად.

— **არაპირდაპირი გადასახადი.** ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მისცა ვაჭრობა-მრეწველობის პალატას წარმოადგინოს ცნობები იმ საქონელთა ბაზრის ფასების შესახებ, რომლებზედაც არა პირდაპირი გადასახადი არის დაწესებული. განზრახულია ამ საქონლებზე დაწესებული აქციზის გადასინჯვა. ამ საკითხის შესახებ ამ დღეებში შედგება სხდომა, რომელსაც დაესწრებიან ფინანსთა სამინისტროს, სააქციზო უწყების და ვაჭრობა-მრეწველობის პალატის წარმომადგენლები.

— **ღვინის კანონის გაფართოება.** ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც მიანდვეს განიხილოს საკითხი ღვინის კანონის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეზე გავრცელების შესახებ. კომისიის შემადგენლობაში შედიან: მეღვინეთა, ვაჭრობა-მრეწველობის პალატის, ერობათა და ქალაქთა კავშირის სააქციზოს სამმართველოს და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

— **ცირკულიარი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალაქთა და ერობათა თვითმართველობებთ დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარი: როგორც კერძო პირთაგან ისე ერობათა და ქალაქთა თვითმართველობისაგან ხშირად შემოდის სამინისტროში თხოვნები და მიმართვები შუამდგომლობით პენსიის დანიშვნის, ან ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ. ვინაიდან შრომის სამინისტროსთან სოციალურ დახმარების დაარსების შემდეგ ასეთი თხოვნების გარჩევა სამინისტროს კომპეტენციას აღარ შეადგენს, კანცელარია გაცნობებთ სახელმძღვანელოდ და საყოველთაოდ გამოსაცხადებლად, რომ ზემოაღნიშნული თხოვნები თანახმად არსებულ კანონისა, უნდა შეტანილ იქნენ ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობაში, რომელიც ამგვარ თხოვნებს არჩევს.

— **შემოსავალ კვალობის გადასახადი.** ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრს ე. კოზლოვსკის მიენდო შეადგინოს საგანგებო კომისია მის მიერ შემოსავალკვალობაზე და სამრეწველო გადასახადის სისტემის შეცვლის შესახებ დამუშავებულ დეკრეტის პროექტის განსახილველად.

— **უმაღლესი ეკონომიური საბჭო.** კანონ-პროექტი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსების შესახებ უკვე დამუშავებულია. ამ დღეებში ეს კანონ-პროექტი განსახილველად მთავრობას გადაეცემა.

— **საბაჟო გადასახადების გადასინჯვა.** თანახმად ფინანსთა მინისტრის საბჭოს დადგენილებისა, საბჭოს სამმართველოს გამგეს მიქაძეს მიენდო გადასინჯოს საბაჟო გადასახადებს შემოსატან და გასატან საქონელზე. ამ საკითხის დამუშავებაში ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

— **იუსტიციის სამინისტროში.** ტატიშვილის დაბრუნება. დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას თბილისის სასამართლო პალატის პროკურორი მ. ტატიშვილი. ამასთანავე თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ა. ყანჩელი გაანთავისუფლეს პროკურორის მოვალეობის ასრულებიდან.

— **იუსტიციის სამინისტროში.** ოზურგეთის ერობა დაეთანხმა იუსტიციის სამინისტროს რომ საოლქო სასამართლოს ბათომის განყოფილება ოზურგეთის რაიონის განყოფილებაში შედიოდეს. სათანადო კანონ-პროექტს იმუშავებს იუსტიციის სამინისტრო.

— **ყაჩაღებთან ბრძოლა.** შინაგან სამინისტროს ავჭალიდან დეპეშით აცნობებენ: ოქტომბრის 2 ყაჩაღებთან სროლის დროს მოკლულია ერთი ყაჩაღი და დანარჩენებს ვსდევთო. თიონეთიდანაც იუწყება ერობის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი, რომ თიონეთის სამაზრო მილიციამ არაგვის ხეობაში დააპატიმრა ყაჩაღთა ბანდა კოკინაშვილის მეთაურობით. რომელიც ამას წინად დუშეთის ციხიდან გაიქცნენო.

— **შუამდგომლობა.** ზორჩალოს მაზრის ერობამ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს სესხი კულტურულ მცენარეულობის მოსაშენებლად. თესლეულობის შეძენის საჭიროებისათვის. ვინაიდან სახელმწიფო კონტროლი და სამინისტროები იმ შუამდგომლობას თანაგრძნობით შეხვდენ, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერობის შუამდგომლობა მთავრობას წარუდგინა განსახილველად.

— **სავალიუტო ოპერაციები.** ფინანსთა სამინისტრომ აცნობა საზოგადოება „ჩემოს“ რომ სავალიუტო ოპერაციების შესახებ სავალდებულო დადგენილება საზოგადოება „ჩემოს“ არ ეხებაო.

— **სოხუმის ლიკვიდაცია.** სოხუმის საგანგებო სასამართლოს ლიკვიდაციის გამო აღნიშნულ სასამართლოს პროკურორის ამხანაგი მ. მილიანიცკი მოვალეობის ასრულებიდან გაანთავისუფლეს.

— **სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია.** იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას განსახილველად სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ კანონთა გადამსინჯავის კომისიის მიერ შედგენილი კანონ-პროექტი. ამასთანავე მთავრობას წარედგინა სარეგისტრაციო საჭირო წიგნების ფორმა.

— **დამფუძნებელ კრებაში.** დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა მესამე ყრილობისაგან. ყრილობის თავმჯდომარე გ. ჩხეიძის ხელმოწერილი მისალმებითი დეპეშა მიიღო.

— **რამიშვილის გამგზავრება.** შინაგან და სახალხო განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი ღვინობისთვის 3-ს გაემგზავრა ნატანებს და იქიდან წავა ოზურგეთში.

ერობებში.

— ქუთაისის სამაზრო ერობა სამხედრო ჰოსპიტალის მიღებას შეუდგა. მიმღებ კომისიას სათავეში უდგას გავაშელი. სამინისტროსაგან კომისიაში შედის ექიმი კვიაჩანიძე.

— ოზურგეთი. სექტემბრის 1. ოზურგეთის სამაზრო ერობამ აუწყა ერობათა კავშირის კომიტეტს, რომ შეუთანხმდა სენაკის ერობის საზღვარზე მდებარე სათანადო მამულების გაცვლის შესახებ. მიწად მოქმედების სამინისტრომ შეთანხმების ყველა პუნქტი დაამტკიცა. ოზურგეთის სამაზრო ერობამ მიიღო ზომები ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში თავის ნებით ტყის გაჩეხის ასაკვეთად.

ოზურგეთის ერობა მიმდინარე წელს მაზრაში ხსნის 100 სალამო და საკვირაო სკოლას. ამის გარდა არსებულ 21 უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელთან გაიხსნება სახალხო უნივერსიტეტები. ერობას უნდა ისე ფართოთ დააყენოს განათლების საქმე, რომ მომავალ წლიდან მაზრაში არც ერთი წერა კითხვის უცოდინარი არ იქნეს.

სხვა და სხვა

— სომეხი-ლტოლვილნი. კავკასიიდან თბილისს ჩამოვიდა 4 მატარებლის 500 სული სომხის ლტოლვილნი რომელნიც გაისტუმრეს სანაინის გზით სომხეთში.

— ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს მორიგი (29) ნომერი გამოვიდა მრავალის სურათით შემკული და სხვა და სხვა მასალით, ფასი 50 მ. ჟურნალი ორი თვეა შეჩერებული იყო ტეხნიკურ მიზეზით და ქაღალდობის გამო.

ქართველ კათოლიკეთა ისტორიული დღე.

კვირას ღვინობისთვის 3 მი ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში ისტორიულ დღით დარჩება. ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა რომელიც პოლიტიკურ მიზეზების გამო გაუქმებულ იყო 14-ე საუკუნეში, სამშობლოს განთავისუფლების შემდეგ აღსდგა. მართველად ამ კათედრისა რომის ტახტისაგან წარმოგზავნილი იქმნა მისი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი გაბრიელ მორიონდო.

შეხვედრა.

დილიდანვე ქართველ კათოლიკეთა მიძინების ტაძარი მოირთო და მოიკაზმა ვარდ-ყვავილ გვირგვინებით და ქართულ ეროვნულ ალმებით. შესავალ კარებში ორ ქართულ ეროვნულ დროშის შუა ფრიალებდა დროშა რომის პაპისა, ტაძრის კარის ბჭეზე ვარდ-ყვავილების ჩარჩოში ჩასმული, იყო წმ. ნინოს სურათი. დილის 10 საათისათვის თავი მოიყარა თბ. მთელმა ქართველ კათოლიკებმა. ამ დროისთვის მოვიდნენ ტაძარში წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და სამინისტროებისა, სხვა და სხვა უცხოელ სახელმწიფო მისსიებ ის და საპატიო პირთა. სრულ 11 საათზე ტაძარში მობრძანდა მათი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი მორიონდო, რომელსაც შეეგება ადგილობრივი კრებული.

წირვა.

წირვის წინ შესრულებულ იქმნა „ინგრესი“ ე. ი. შეხვედრის წესი, რის შემდეგ დაიწყო საზეიმო წირვა მისი უსამღვდელოესობის გაბრიელ ნატალე მორიანდოს ასისტენციით. წირვა შესრულდა ლათინურ ენაზე პატრმა დონ მიხეილ ანტონაშვილმა, სამოციქულო ქართულად ძველ ქართულ კილოზე წაიკითხა გორის პატრმა კონსტანტინე საფარაშვილმა, ხოლო სახარება ქართულსავე ენაზე ქუთათურმა პატრმა დონ დამიანე სააკაშვილმა. წირვაზე მგალობელთა გუნდმა და ორკესტრმა ფალიაშვილის ლოტბარობით შესრულეს წარჩინებულად საგალობელნი, გარდა ამისა, დუეტი და სოლო შესრულეს სკრიპკაზე იტალიურ ენაზე „ავე მარია“ და ფრანგულ ენაზე „ვუ კი პლორე“, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

დეკრეტის კითხვა.

წირვის შემდეგ ეპისკოპოზ მორიონდოს მდივანმა პატრმა პეტრე გაგნორმა წაიკითხა იტალიურად შემდეგი დეკრეტი პაპის მიერ ბოძებული რომში, რომელიც გადაუთარგმნა მსმენელთ სიტყვა სიტყვით ქართულათ პატრმა ემანუელ ვარდიძემ. აქვე მოგვყავს მთლიანად დეკრეტები.

დეკრეტი წ—ა კრების აღმოსავლეთის ეკლესიისათვის № 4.284—20

ქართველთა ნათესავი წ—ა ტახტისათვის რაოდენი მუდმივის სიყვარულით გულთან ახლო იყო, და რაოდნად ქართველთაცა გვარი, თვით უძველეს დროთა გარემოებებში ღრმა პატივისცემით ეგებებოდა სამოციქულო ტახტს, ამას ყოველთა დროთა მრავალნი ისტორიულნი საბუთნი მრავალთნაირად ადასტურებენ.

აწცა, ოდეს საბედნიეროდ დადგა ცხოვრების ახალი ვითარება, ეცნობა-რა წ—ა ტახტს სურვილი ქართველთა, რათა აქუნდეს კვლავ განცალკევებული საეკლესიო მმართველობა და ჰყავდესთ საკუთარი მწყემსი სამწყსოსათვის ქრისტეს მორწმუნეთა, უფლებათა მამათა წ—ა კრებისათა, რომელიც აწ მეუფის უმწვერვალესი მღვდელთ მთავრის მიერ აღმოსავლეთის ეკლესიისათვის საზრუნველად განწესებულ არს, ჯეროვნად და სარწმუნოებისათვის სარგოდ დაინახეს რათა იმ საქმეთ სურვილთა დაეთანხმონ.

ამისათვის არის, რომ უწმინდესმან მეუფემ ჩვენმა ბენედიქტე 15-ამ პაპმან ღვთიური განგებულობით, განაჩინა უფლისა მამათა დიდის სიამოვნებით დაადასტურა, და 8 ივნისს ა. წ. გარდასწყვიტა რათა იგი ნაწილი ტირასპოლის თემისა, რომელიც აწ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეულია, გამოყოფილ იქმნას, დროებითი სახით ტირასპოლის ეპისკოპოსის გამგეობისაგან და დღეის ამიერ მინდობილ იქმნას მზრუნველობას პ. ც. მამა ულნატოლ-გაბრიელ მორიონდოსი, წესისაებრ მოძღვართა, ცეიდისის ტიტულოვანს, რომელიც ამ წ. კრების დამოკიდებულებისა ქვეშე, სახელწოდებით და თანამდებობით სამოციქულო გამგისა, წ—ა ტახტის სურვილისამებ, ბინადრობდეს ქ. თბილისში, მწყსოს და მართოს უფლისა მიერ ყოველნი ქრისტეს მორწმუნენი და—სამღვდელონი, ეგრეცა საერონი, ყოველისავე რიგისაგანი, გარდა სომხის რიგის კათოლიკეთა რომელნიც ქვემდებარე არიან საკუთარი სამოციქულო გამგისა. აქუნდეს ყველა უფლებები თანამდებობები, პრივილეგიები და შეძლებები, რომელნის საკუთრივ მისდა მინიჭებული არიან თუ თვით სჯულმდებისაგან და თუ კრებისაგან აღმოსავლეთის ეკლესიისათვის და იხმაროს იურისდიქცია ორდინარიული, სრული და პირდაპირი.

ამა ყოველთა ზედა უმწვერვალესმან მღვდელთ მთავარმან ბრძანა გამოცემა აწმყო დეკრეტისა ამ წ—ა კრების მიერ ამას ვერა რა წინააღმდეგობდეს.

რომი, სასახლე ხსენებული წ—ა კრებისა, 15 აგვისტოს, დღესასწაულ ღვთისმშობლის მიძინებისა 1920 წ.

კარდ. ნ. მარინის

მდივანი იზაია პაპადოპულო, ასესორი.

სიტყვა ეპ. მარიონდოსი.

დეკრეტის აღიარების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ეპ. მარიონდომ იტალიანურად. მან მწუხარება გამოსთქვა რომ არ იცის ქართული ლამაზი ისტორიული საგვარეულო ენა და არც რუსული. მისი მოსალმება შემდეგი სიტყვით დაიწყო: „პაკს ვობის!“ (მშვიდობა თქვენთან) გამოვსთქვამ სიხარულს საქართველოს განთავისუფლების გამო“... ასევე უსურვა ქართველ ხალხს ხანგრძლივი და მყუდრო მშვიდობა. უსურვა მათ საყოველთაო სიყვარული. უსურვა დამშვენება რომის წმ. ტახტის წყალობისა. გაიხსენა დიდებული ეპიზოდები საქართველოს საეკლესიო ისტორიიდან, ქართველების ძველი მჭიდრო კავშირი და ერთგულება, რომის ტახტისადმი. შეავედრა ღვთისმშობელს, განახლება ქართველ კათოლიკეთა ეკლესიისა ამ ქვეყანაში, გამოსთქვა იმედი, რომ ღვთისმშობელი მარიამი, ვარსკვლავი იგი ცისკრისა, მალე აღორძინებს შუადღის სიბრწყინვალემდე ცისკარს სარწმუნოებისას და კათოლიკურ ცხოვრებისას, რომელიც ამოდის დღეს საქართველოს ეკლესიაზე. ამ სიტყვის შემდეგ ეპ. მორიონდოს მიერ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი კათედრის აღდგენის გამო და მით დასრულდა წირვა.

საზეიმო ტრაპეზი.

წირვას შემდეგ ყველა სტუმრები და დელეგატები მიწვეულ იქმნენ სკოლის დარბაზში საზეიმო ტრაპეზზე. სკოლის შენობა და თვით დარბაზიც მორთული იყო ვარდ-ყვავილებით. აქ პირველად ეპ. მორიონდოს გაეცნენ საქართველოს მთავრობის, მისიების და დელეგაციების წარმომადგენლნი. ჩვენი რედაქციის თანამშრომელმა გაზ. „საქართველოს“ მხრივ მხურვალე სალამი უძღვნა ამ ისტორიულ დღის გამო, რაზედაც ეპ. მორიონდომ მადლობა უძღვნა. შემდეგ ამისა ყველანი მიწვეულ იქმნა საზეიმო ტრაპეზზე. პირველი სადღეგრძელო დაილია რომის პაპის ბენედიქტე მე-15-ისა ევროპაში აღზრდილ და განათლება მიღებულ ეს სადღეგრძელო ექსტრა ლათინურ ენაზე შეასრულეს „ვივატ-ვივატ ადმულტოს ანნოს ბენედიქტუს გაბრიელ მორიანდო“. შემდეგი სადღეგრძელო დაილია საქართველოს მთავრობისა და მის თავმჯდომარის ბ-ნ ნ. ჟორდანიასი, რომლის დროს ქართველ კათოლიკეთა გუნდმა საუცხოოთ შეასრულა ქართული „მრავალ ჟამიერ“. ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელ საბჭოს მხრივ სიტყვა წარმოსთქვა და მიესალმა მიხ. მღებრიშვილი. პატრმა ემანუელ ვარდიძემ წაიკითხა მოსალმების დეპეშები საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან და ქალაქიდან. მეტად საგრძნობი შინაარსის დეპეშა მოვიდა ჯავახეთიდან ქართველ კათოლიკებისაგან, ახალციხის [illegible] კომიტეტისაგან და ახალციხის ქართველ კათოლიკებისაგან. ამის შემდეგ მშვენიერი სიტყვით მიმართა ჩვენმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწე ზ. ჭიჭინაძემ, რომელიც მოგვყავს აქ:

სიტყვა ზ. ჭიჭინაძისა.

რადგანაც აქ სიტყვა ითქვა აწინდელ საქართველოს მთავრობის გულკეთილობისა და პატიოსნურათ მოქმედებაზედ, მეც მოგახსენებთ, ყოვლად სამღვდელო, მცირეოდენ ისტორიულ მოგონებას.

საქართველოს ერი და მისი მთავრობა გულკეთილის თვისებით და სასულიერო მოქმედებით ყოველთვის ყოფილან ხოლმე საქართველოში საყურადღებონი.

მაგალითებრ 14 საუკუნის დამდეგს, თბილისში იქმნა დაარსებული ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა და ეპისკოპოსათ იქმნა დანიშნული იოანე ფლორენციელი: ამ ეპისკოპოსის მოსვლას ქართველები დიდის პატივით მიეგებნენ, ეპისკოპოსის წირვას თვით ქართველი მეფე გიორგი ბრწყინვალეც დაესწრო და ძრიელ მოეწონა ეპისკოპოსის მიერ შესრულებული ლათინური წირვა.

მეფე გიორგი ბრწყინვალემ ეპისკოპოსს დიდი მადლობა გადასცა ამ წირვის მოსმენის გამო, შემდეგ, ქართველი მეფენ და კათალიკოზებიც დიდი პატივისცემით ეპისკოპოს კათოლიკეთა სარწმუნოების კათოლიკ-სამღვდელოებს და დიდ დახმარებასაც უწევდნენ. ქართველ მეფეების და კათალიკოზების პატივისცემა და მფარველობა იქამდის ძლიერი იყო და ღირსეული, რომ შემდეგში კათოლიკებს დიდი პატივისცემით უკავშირდებოდნენ თვით ქართველი მეფენი და კათალიკოზები. ამის მაგალითები ჩვენს ისტორიაში ერთობ ბევრია.

კათოლიკეთა სამღვდელოება საქართველოში ჩვენს მეფეთა მიერ ყოველთვის პატივცემული და უზრუნველი იყო, ერთად ერთი კათალიკოზ სამღვდელოებისთვის მძიმე დრო დადგა მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, ეხლა კი რაკი საქართველომ ეღირსა თავისუფლება, იმედია, რომ კათალიკოზის პატივისცემა და სიკეთეც ხელ ახლად აღორძინდება ქართველებში.

საქართველოში, ქართველთ კათალიკეთა წინაშე ყოველთვის არსებობდა ლათინური ტაბიკონი პატრი ლათინურად სწირავდა, დანარჩენი კი ყოველივე ქართულად სრულდებოდა, მაგალითად, გალობა იყო ქართული, ასევე სახარებისა და სამოციქულოს წაკითხა ეხლა რაკი თქვენი მეუფებაც მობრძანდა საქართველოში იმედია, რომ ის წესები, რაც ქართველ მეფეების და მთავრობის დროს არსებობდა ქართველთ კათოლიკეთა ეკლესიებში, რომ ეს წესები თქვენი მეუფებისაგან იქნება დაცული და ხელ შეუხებელი, მაგალითად, პატრი სწირავს ლათინურათ და დანარჩენი გალობა თუ სახარება და სამოციქულოს წაკითხვა უნდა დარჩეს ქართულათ, ასევე ანდერძის აგება და ალსარების თქმაც ქართულათ უნდა იყოს.

იმედი გვაქვს თქვენი მეუფება ქართველ კათოლიკეთა ძველს წესებს ხელ შეუხებლად დაიცავს მას გავლებთ ჩვენ და გთხოვთ. შემდეგ ამისა დაილია სადღეგრძელო თვით ეპ. მორიონდოსი, რომელმაც მადლობა გადუხადა და განაცხადა ყველა: სადღეგრძელოებში ორი სადღეგრძელო იყო მისთვის საგულისხმო, რომის პაპისა და საქართველოს მთავრობისა. გამოსთქვა სიამოვნება რომ საქართველოში არსებობს სრული თავისუფლება. ამ თავისუფლების ძალით ქართველი კათოლიკობა უსათუოდ დაწინაურდება საქართველოში. განმეორებით მადლობა მოახსენა ქართველ კათოლიკეთა საზოგადოებას ესეთი ზეიმის მოწყობისათვის და კეთილი სურვილებისათვის რომელნიც იქმნენ გამოთქმულნი. დაილია ამას შემდეგ სადღეგრძელოები უცხო სახელმწიფოთა მისიების, იქ დამსწრე დელეგატების და სტუმრების, რის შემდეგ ნაშუადღევის 2 საათზე ეპ. მორიონდომ დასტოვა ტრაპეზი.

სამხატვრო ქრონიკა.

— მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტებსა მსახიობთა და იტალიურ კინემატოგრაფის საზოგადოებას შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტები გადაღებული იქნებიან მილანში ეკრანზე სხვა და სხვა სურათებში. მათ შორის „ძმები კარამაზოვებიშიც“ როგორც ამბობენ ამ საქმის მოსაგვარებლად გადადებულია 50 მილიონი მანეთი. მოკლე ხანში არტისტები მილანში იქნებიან.

ამავე მიზნით გაზაფხულისათვის მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტები თბილისში ჩავლენ მათი მონაწილეობით დარიალში გადაღებული იქნება ეკრანზე ლერმანტოვის „დემონი“.

პატარა ფელეტონი.

რადიო-ჭორის ცნობები.

რადიო-ჭორის სადგურის აგენტი ქ. ზესტაფონში ბ-ნი „მანგანი“ მეტისმეტი ზარმაცი გამოდგა და ცნობები დროზე ვერ მიაწოდა მკითხველებს, რისთვისაც სააგენტო ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე. ეხლა მაინც ვეცდები მკითხველებს თავის დროზე მივაწოდო ყველა საყურადღებო ცნობები; მასთან ვაცხადებთ, რომ ზესტაფონის რადიო-ჭორის სადგურს დამოკიდებულება აქვს ყველა მნიშვნელოვან პუნქტებთან.

ლონდონი. ზესტაფონის ქალაქის თავს გადაუწყვეტია მოიწვიოს ახლო მომავალში (ალბად 1921 წ.) ქალაქ ზესტაფონის ხმოსანთა მესამე სესია. ეს გარემოება გამოწვეულია ცხოვრების გაძვირებით და ჯამაგირის მომატების საჭიროებით.

პარიზი. ქალაქ ზესტაფონის ხმოსანთა საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია გაფაციცებით დაეძებს საფრანგეთში და შვეიცარიაში იქ დარჩენილ ქართველ ემიგრანტებს, რომ მოიწვიონ ქალაქის გამგეობაში, რომელიც დიდი ხანია მხოლოდ ერთი თაიფისაგან შესდგება. პრაქტიკამ დაუმტკიცა მათ, რომ მხოლოდ ემიგრანტებში შეიძლება გამოინახოს შრომისა და ლანძღვა-გინების ამტანი პირი. ფრაქცია საშინელ კრიზისს განიცდის.

ბერლინი. ქალაქ ზესტაფონის ხმოსანთა საბჭომ გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ყოველი დუქნის წინ უნდა იქნეს გაკეთებული 1000 სანთლიანი ელექტრონის ლამპები, რომ რკინის გზით გამვლელ-გამომვლელ მგზავრებმა ღამეშიც დაინახონ ნაგავით სავსე ზესტაფონის ქუჩები და მოედანი. სააგენტოს შენიშვნა: სიმართლე უნდა ითქვას, ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას ქალაქის თავი მაშინათვე დიდის ენერგიით შეუდგა, მაგრამ ტეხნიკურ და არა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ვერ მოასწრო ევროპის სოციალისტურ დელეგაციის გავლამდის. აწი ვისგან ისწავლოს ბ-ნმა ვანდერველდემ სისუფთავე!?..

კონსტანტინეპოლი. ქალაქ ზესტაფონის ხმოსანთა საბჭოს სოციალ-დემოკრატების ცამეტი თითის უმრავლესობით ექვსის წინააღმდეგ მიუღია კონსტიტუციის პროექტი, რომლის მე 33333 მუხლის ძალით სასტიკათ აღკრძალულია კრიტიკა და კონტროლი ქალაქის თავის მოქმედებისა. დამნაშავე დაისჯება ორასი წლის კატორღით. ამის შიშით სარევიზიო კომისიას ჯერ გაუბედნია რევიზიის მოხდენა ქალაქის საქმეებისათვის.

ნიუ-იორკი. ზესტაფონის ქალაქის თავს განუზრახავს მოაწყოს ქ. ზესტაფონში ჰიდრო-ელექტრონის სადგური. პროექტი შედგენილია ცნობილი ჰიდრავლიკოსა—ძის მიერ. ამ პროექტით მდ. ყვირილა უნდა იქნეს აყვანილი ორასი საჟენის სიმაღლეზე და მაშინ მისცემს 200 000 ცხენის ძალას, რაც მთელს შორაპნის მაზრას გაანათებს. ამ მიზნისთვის ქალაქის თავს კიდევაც მიუღი მთავრობისაგან უვადო და უპროცენტო სესხი სამი მილიონი მანეთი. სადგური მზათ იქნება 2920 წელს, მანამდის კი ურჩევენ მოქალაქეთ იქონიონ მამა-პაპური ჭრაქები.

(დასასრული არ ექნება)

მანგანიანი.

ბ. კოტე ბუაჩიძის წერილის გამო

(დასასრული)

თუ სად წავიდა ფუთზე დარჩენილი 6—7 გირვანქამდე აწონილ საქონლისა, ამის ამოცნობა თვით მკითხველისათვის მიმინდვია.

რაც შეეხება რკინის და მავთულის მითვისების საქმეს აქ ბ. ბუაჩიძე გაკვრით იხსენიებს და უარს ყოფს, რომ მას და მის კომპ. იოსებ გუნცაძეს, რკინა და მავთული საკრედიტო ამხანაგობისათვის არ დაუმისებიათ და ამის დასამტკიცებელ საბუთად ბრძანებს: „ეს ხომ მთავრობის დაწესებულებიდანაა (მიღებული), როგორც სხვა საქონელი და აბა როგორ შეიძლება მისი დაკლება ან მომატება“-ო.

თუ არ შეიძლება ბ. კოტე, ერთი ეს მიბრძანეთ, როგორ მოხდა, რომ საზოგადო კრებამ ის თქვენ მიერ ზედმეტათ ცნობილი და მითვისებული 188 ფუთი და 18 გირ. რკინა და მავთული, რომელიც თქვენ დაამისეთ საკრედიტო ამხანაგობას, იცნო კავშირის საკუთრებათ და მოითხოვა მისი გამონაწილება?

ამის დასამტკიცებლად აქვე მოვყავს საზოგადო კრების ოქმის რკინის და მავთულის შესახებ საბრალდებულო მე-9 მუხ.: „ის ზედმეტი ეკლიანი მავთული და რკინა, რომელიც გამგეობამ მიაწოდა ზესტაფონის საკრედიტო ამხანაგობას, კრება სთვლის კავშირის ქონებათ და მოითხოვთ გამონაწილებას“.

გაიგეთ ბ. კოტე, როგორ და რაში ყოფილა საქმე?

აფსუს ერობის თავმჯდომარევ?! რა სწორ და უტყუარ ცნობებს აწვდის საზოგადოებას, მხოლოდ იმისთვის, რომ თავის ნამოქმედარი, ადამიანთა პიროვნების გამათახსირებელი საქმე, როგორმე მოახერხოს მიჩქმალოს და მიმალოს.

აი სწორედ ამისთვის იყო, რომ მოუთმენლად ველოდებოდით ბ. კოტე ბუაჩიძის და მის კომპ. პასუხს, რითაც მიეცემოდა საშუალება, როგორც მკითხველ საზოგადოებას, აგრეთვე მთელ შორაპნის მაზრის ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჰქონოდათ საღი და უტყუარი წარმოდგენა ისეთ პირებზედ, როგორიც ბრძანდებიან ერობის თავმჯდომარე ბ. კოტე ბუაჩიძე და საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე იოსებ გუნცაძე (რის შესახებაც, ჩემი საპასუხო წერილის შემდეგ, ცრემლაიშვილის წერილის გამო გაზ. „სახალხო საქ.“ რედაქციის შენიშვნაზე „ვსპობთ ჩვენ გაზეთში ამ საგნზე კამათს“ აღვძარი შუამდგომლობა რედაქციის წინაშე, დაეთმოთ საპასუხო ადგილი კოტე ბუაჩიძისთვის, რომელიც თავის წერილში „წერილი რედაქციის მიმართ“ დიდ საყვედურს გამოსთქვამდა რედაქციის შენიშვნის გამო, ვითომ რედაქცია მას ადგილს არ უთმობს, რითაც ესპობა ვითომ მას საშუალება საზოგადოების წინაშე თავი იმართლოს)

თქვენ ბ. კოტე კიდევ გამოგრჩათ რამოდენიმე საბრალდ. ოქმის მუხ. აუხსნელ განუმარტავი, ან შეიძლება გახსოვდათ, მაგრამ საჭიროდ აღარ სთვლით, ვინაიდან დამარცხებულად და ცხვირ მოტვრეულად მრაცხთ, თქვენი ახსნა განმარტების შემდეგ, როგორც თქვენ ბრძანებთ მაგრამ ყოველ შემთხვევაში კარგი კი იყო შეხებოდით 700 არშინ ბრეზენტის და 300 არშინ ტილოს საქმეს და მასთან ქუთაისის მომარაგების კომიტეტისაგან გამოგზავნილი საქონელი, რომ ასე უკვალოდ სადღაც გაპარა დაკეტილ საწყობიდან და არ ვიცით მკვდარია თუ ცოცხალი, იქნებ სააგარაკოთ არის სადმე წასული და ჩვენ კი წლის წირვას და პანაშვიდს ვემზადებით?!

როგორც ჩანს ბ. კოტე ბუაჩიძის წერილიდან კიდევ უნდა მომხდარიყოს რაღაც ახალ-ახალი ბოროტ-მოქმედებები, როგორც კავშირში, აგრეთვე კომპ. „ერთობაში“ და იმისთვის, რომ ვითომ ეჭვი შეაქვს ჩემ სამართლიანობის დაცვაში, დაცინვის კილოთ მისაყვედურებს და მეკითხება: „სად ბრძანდებოდით სიმართლის მეტოქეობის და რაინდობის დამჩემებელო, რომ ამდენი ბოროტ-მოქმედებები მოხდა, არც კრებებს ესწრები, სადაც ბევრ ახალ პანამებს აღმოაჩენდით, დღეს კი, როგორც გეტყობათ კავშირის მდგომარეობის ვითომდა არაფერი იცით, მე მგონი, რომ იცით მაგრამ თქვენ ნაკლებ გაინტერესებთ, რადგანაც იქ თქვენთვის არა სასიამოვნო პირნი აღარ იმყოფებიან.“

მართლაც და ამის შემკითხველი ჭკუათა მყოფი უნდა იყვეს? ან და ის ერობის თავმჯდომარედ უნდა ითვლებოდეს?

რა საბუთის ძალით მითხოვს ჩემგან ხმა ამომეღო ან ამეღო, განა თავის წერილში თვითონ არ ბრძანებს: „სანამ საბოლოოდ არ ექნებათ ყოველივე დადასტურებული, აბა რომელ ჭკუათა მყოფელს მოუვა აზრათ ვინმეს ბოროტ-მოქმედება შესწამოს, თქვენ მეუბნებით, მე, ბ. აპექსი ხშირად გაქვსთ სასამართლოებში საქმე და კარგად უნდა იცოდეთ ეს და თუ არ იცით დროა გაცოდინონ“-ო

ეს რჩევა დარიგება ბ. კოტე, თქვენი გაბოროტებული სულის და აზრის ნაკარნახევია და ახლა იმას მირჩევთ, სანამ ხელთ საბუთი არ მექნება, იმნაირი უტყუარი, როგორიც თქვენი მაქს, მანამდის მირჩევთ ხმა ამოვიღო ან ამომეღო და რაიმე ბოროტ-მოქმედება ვისმეს შევსწამო?

დღესაც, როდესაც თქვენ შესახებ უტყუარი საბუთები და ცოცხალი ფაქტები ხელთ მაქვს, თქვენ მამაცხონებულო, ახლაც გადასახლებას შემუქრებით და რომ არ მქონოდა ხომ უკვე ჩამოხრჩობილიც ვიქნებოდი?

აბა ბ. კოტე, მაგ ნაირი რჩევა-დარიგება თქვენ კომპანიას და ამყოლ დამყოლს მიეცით და მათაც ვის თითებსაც საჭიროებთ, თორემ ჩემთან მაგნაირი რჩევა-დარიგებით ვერას გააწყობთ.

ადვილი შესაძლებელია ვცდებოდე მე ბ. კოტე, და თქვენი საყვედური მართლაც გულწრფელი იყვეს, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, კრებაზედაც ესწრებით, ბოროტ მოქმედებას გებულობთ თუ ვინ რა ჩაიდინა და ვინ არის დამნაშავე, ყოველივე ეს იცით და ჩემი ხმის ამოღებას უცქერებთ ბ. ერობის თავმჯდომარევ!?—

— ბოროტ მოქმედება იცით, მის ჩამდენთ იცნობთ და განა საპატიებელია თქვენი მხრით გაჩუმება?

თქვენ პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს, როგორც ერობის თავმჯდომარის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთაც ამოურჩევიხართ, როგორც თქვენ ბრძანებთ, არ მიგიღიათ რაიმე ზომები ბოროტ-მოქმედების ჩადენის წინააღმდეგ? თუ ისე ზეპირად მშრალად და ნარდათ ლაპარაკობთ ჰაერში, რომ მხოლოდ გაალამაზოთ და სააგიტაციო ხასიათი მისცეთ თქვენს სიცრუით შეთხზულ წერილს, ან იქნებ გსურთ თქვენი სიტყვიერი ნაცად-ნახმარი „იმერული ხრიკები“ აქაც თეთრ ქაღალდზედ შავი მელანით დაწერილი ჩვეულებრივად გამოიყენებიათ თქვენ სასარგებლოთ, მაგრამ ერთხელ და სამუდამოთ დაიხსოვრეთ ბ. კოტე, რომ თქვენი „იმერული ხრიკები“ ყოველთვის თქვენი გამოსადეგი არ იქნება და აი სწორედ იმ „იმერული ხრიკების“ შეჩვევა შეთვისებამ იცის შავ სკამზე წამოსკუპება, რომელიც აუცილებლად მოგელით თუ ქვეყნიერება, მართლაც, ჩალით დახურული არ არის.

დაბოლოს დამქაშების და მკარნახებლის შესახებ მოგახსენებთ, რომ ჩემთვის ის საბუთები, რომლებიც მე ხელთ მაქვს „თქვენდა საუბედუროთ, არ საჭიროებენ დამქაშებს და მკარნახელებს, თვით ის საბუთები მავნებინებენ ყოველ მიჩქმალულ კუნჭულს თქვენ მიერ ჩადენილ ნაბოროტალ საქმეებისას. დამქაშებს თვით თქვენ საჭიროებდით, გესაჭიროებიათ და საჭიროებთ დღესაც, რისი დასამტკიცებელი საბუთები გახლავს და კიდევ ბევრი აღმოჩნდება. იმ დამქაშების წყალობით მოხდა, რომ საზოგადო კრებამ „მწუხარების“ გამოთქმით მოგაშორა ყოველივე სახელი. დიახ ამ დამქაშების წყალობაა, რომ ის პირი, პარტიული თქვენი ამხანაგი, რომელიც საზოგადო კრების დროს აღშფოთებული თქვენ მიერ ბოროტ მოქმედების ჩადენის გამო, არ კმაყოფილდება „მწუხარების“ გამოთქმით და სკამზე ვეღარ აკავებდენ გამომძიებლის მოსანახავად, თქვენზე ოქმის შესადგენად და შემდეგ იგივე პირი ესწრება ს. დ. საგან. კომიტეტის სხდომას, მონაწილეობას ღებულობს და ხელს აწერს იმ დადგენილებაზე, რომელზედაც თქვენ გვითითებთ გაზ. „ერთობის“ № 29 და დიდ გასამართლებელ საბუთად მიგაჩნიათ. იმ დამქაშების წყალობაა, რომ თქვენ, რომელმაც კოოპერატივთა კავშირი გაფცქვენით, ისევ თქვენ გირჩევენ მეორე კრებაზე, ამ გაფცქვნილ კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, რითაც ამაყობთ თქვენ წერილში. იმ დამქაშების წყალობაა, როდესაც კავშირს წაართვით 50000 მანეთი და საკრედიტო ამხანაგობას აჩუქეთ, რითაც აიცილეთ თქვენ და თქვენმა კომპ. კანონის წინაშე პასუხის მგებლობა, მაგრამ ნავხოთ, ფონი კიდევ გასავალს არის.

რამდენათ პატივით ეპყრობით მკითხველ საზოგადოებას, რომ არაფერში მოატყუოთ, ეს იქიდანაც მოსჩანს, რომ მე ვითომ სასამართლოების საქმის მქონე პირი ვიყო, რითაც გსურთ მკითხველის წინაშე გამომიყვანოდ და მომნათლოდ — „კლიაუზნიკად“, მაგრამ აქაც თქვენი „იმერული ხრიკები“ ცხვირპირს გამტვრევსთ ბ. კოტე, როდესაც მე ამ ხნის კაცს სასამართლოში არც სამოქალაქო და არც სისხლის სამართლის წესით, არავისთან საქმე არ მქონებია, არც ჩემი კერძო და არც სხვის მაგივრად გამოვსულვარ, გარდა ერთი შემთხვევისა, ისიც მოწმედ. რად დაგჭირდათ ბ. კოტე, ასეთი სიცრუით გამასპინძლება მკითხველ საზოგადოების, მაგრამ ეს არის უკანასკნელი შხამის გადმონთხევა თქვენი პირისაგან.

დაბოლოს რაც შეეხება თქვენ მუქარას ჩემი პასუხის გებაში მიცემას, ამაზე მზათ ვარ სადაც და რითაც გნებავთ პასუხი გაგცეთ.

აპექსი საყვარელიძე.

ჩვენი კორესპონდენტები

ს. კეხვი.

(ცხინვალის თემი)

საქონლის და ხალხის დატაცება.

ეს სოფელი უკანასკნელი სოფელია ქართველების, ოსების შიჯნაზე. მუდამ მტრისაგან თავდასხმის შიშში ყოფილა უწინაც და ეხლაც. ამიტომ აქ დიდი ციხეებია, საცა მდგარა მუდამ მორიგი ჯარი. დღეს კი არავინ არის, ამ გადატრიალების ხანაში კეხველებს ტყეში და ახოებში ოსები სძარცვამდნენ, ძველ ტანისამოსს, ქალებსაც კი ჰხდიდნენ: დღეს როცა ოსები აქეთ მხარეს აყრილნი არიან, უფრო ცუდი ამბები ხდება. 25 ენკენისთვეს კეხველი დათა კახნაშვილი ტყეში მომუშავე თოფით მოჰკლეს და რაც ზედ ეცვა, გააძრეს. 26 ს უკვალოდ დაკარგულ ოსების ომში ფხვენელ მიხეილ ამილახვრის ყევარხარი და ორი მეხრე კეხვის ტყეში მოიტაცეს თორმეტმა შეიარაღებულმა ოსმა. მეხრეები ორი დღის სავალიდგან გამოჰპაროდნენ.

27-ს კეხველ ალაძე ზურას შვიდი სული საქონელი მოსტაცეს. 28-ს კიდევ კეხველებს 8 სული საქონელი მოსტაცეს, ასე გრძელდება საქმე, ხალხი მეტად შეწუხებულია. არის ზომები მიღებული ჯერ კი უშედეგოთ.

ა. ლ.

სარედაქციო კოლეგია.

მთავარი რედაქტორი: სპ. კედი

სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 მე
კურსელი
სტუდენტი იღებს
გაკვეთილებს
იკითხეთ ეროვნულ დემოკრატიულ ბიუროში, დამფუძნებელი კრების ქ. №
დილის 8—1 საათამდე.
უფ.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ
არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20,
ვერაზე. 3102. თე.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხე-
დრო ზეთალი-ექიმი
ი. ბ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავად-
მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრი-
ნველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვ-
კვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიი
ცხვრის სახულე—მილის ავათმყოფო-
ბას ვქიმობ „ნეიმანის და ვესსელის
მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოო-
ტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება)
დილის 9—10 საათ. და დღის 2—4
ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.
თვ. 4

მატარებლის მიმოსვლა.

თბილისიდან მიდის.

ბორჯომამდის	№ 17	7. 5
ბორჯომში ჩადის		2. 0
ფოთამდის	№ 3	9. 5
ფოთში ჩადის		10. 2
ბორჯომამდის	№ 19	2. 3
ბორჯომში ჩადის		8. 0
ბათომამდის	№ 17	8. 0
ბათომში ჩადის		9. 0
ბათომამდის ჩქარი	№ 5	11. 4
ბათომში ჩადის		11. 2
თელავამდის		8. 3
ქუთაისამდის	№ 9	9. 5
ქუთაისში ჩადის		6. 0
სანაინამდის		1. 4
სალ-ოღლამდის		10. 1

თბილისში მოდის.

ბორჯომიდან	№ 20	12. 3
თბილისში მოდის		6. 3
ქუთაისიდან	№ 12	11. 4
თბილისში მოდის		9. 3
ბათომიდან ჩქარი	№ 6	11. 0
თბილისში მოდის		12. 1
ბათომიდან	№ 8	3. 5
თბილისში მოდის		7. 4
ფოთიდან	№ 4	8. 2
თბილისში მოდის		7. 4
თელავიდან		7. 0
სანაინიდან		11. 3
სალ-ოღლიდან		4. 2

სპ. კედიას სიტყვა დამფუძნებელ კრებაში

(ბიუჯეტის გარჩევის დროს).

დამფუძნებელი კრების წევრნო! კამათი ბიუჯეტის შესახებ მეტისმეტად გაგრძელდა და დამფუძნებელი კრების ყურადღებაც ძალზედ დაიღალა. მე ამას ანგარიშს გაუწევ და ვეცდები, რაც შეიძლება მოკლეთ ამოვწურო, მრავალი მასალიდან სანიმუშოდ მხოლოდ ორიოდე, რომელიც სრულიად საკმარისად მიმაჩნდა საერთო ეკონომიური დაშლა-დაქვეითების ცხადსაყოფლად და ჩვენი დიდი დეფიციტიანი ბიუჯეტის ასახსნელად. ვიდრე საგანზე გადვიდოდე უნდა აღვნიშნო რომ ჩვენი დამფუძნებელი კრებიდან ადამიანი ყოველთვის ერთი და იგივე შთაბეჭდილებით გამოდის: რომ პასუხისმგებელი უმრავლესობა ჩვენი პარლამენტისა, ვერ ბედავს მთავრობის მხილებას, მისი უმოქმედობის თუ ცუდი მოქმედების დაგმობას, იმ შემთხვევაშიაც როდესაც ეს ყველასათვის ცხადია და აშკარა. მე მგონია, ასეთი წესების გამეფება უმრავლესობის ფრაქციის ღირსებას ამცირებს და ლახავს. რომ პარლამენტის უმრავლესობა მთავრობას პასუხისმგებლობაში ჩააყენებდეს და ეტყოდეს,—აი ამ საქმეში შემცდარხარ და მომავალში თვალი ფხიზლად გეჭიროსო, თქვენ ამაში დამეთანხმებით, ღირსება დამფუძნებელი კრებისა საერთოდ და მისი უმრავლესობისა კერძოდ, უფრო აიწევს ხალხის თვალში მაგრამ სამწუხაროდ დამფუძნებელ კრებაში ამას ვერასდროს ვერ ვხედავდი და ახლაც, საბიუჯეტო კამათის დროს, როდესაც მოვისმინე მემარცხენე ოპოზიციის და მთავრობის პარტიის სიტყვები, ისევ ის შთაბეჭდილება შემიდგა. (ცინცაძე: მემარჯვენე ოპოზიცია რას ამბობს?).

თქვენს წინაშე წარმოდგენილია ბიუჯეტი 1919—1920 წ. ისიც არა მთელი წლისა, არამედ გასული წლის 7 თვისა.

საფინანსო კომისია ვალდებული იყო ეხმარა ყოველი ღონისძიება და წარმოედგინა დამფუძნებელი კრების წინაშე მთელი გასული წლის შემოსავალ-გასავლის მოძრაობა; და როდესაც იგი, ამის ნაცვლად, შემოდის მთლად ნახევარი წლის ბიუჯეტით, ცხადია რომ დამფუძნებელი კრება ვერ დარჩება დაკმაყოფილებული მისი მუშაობით, ხსენებული კომისიისადმი საყვედურს კიდევ გარემოებაც აორკეცებს, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტში სრულებით არ შედის ერთი დიდი სამინისტროს ხარჯ-აღრიცხვა; როდესაც კომისია ასეთი დიდი დეფექტით წარმოგვიდგენს ბიუჯეტს, დამფუძნებელმა კრებამ ეს ბიუჯეტი უნდა უკან დააბრუნოს. კომისიის ასეთი ზერელე ზედამხედველობა სახელმწიფო ფინანსებზედ ჩვენგან მოწონებას ვერ მიიღებს.

ბიუჯეტში, საერთო რიცხვით, სახელმწიფოს გასავალი მხოლოდ 7 თვის განმავლობაში ნავარაუდევია თითქმის 2 მილიარდი. შესავალი კი აღნუსხულია—1,163,564,485 მან. ამ ციფრების დაპირდაპირებიდან ირკვევა დეფიციტი 790 მილიონი მან. მაშასადამე მარტო ამ ორი რიცხვის დაპირდაპირება გვეუბნება, რომ საქმე კარგათ ვერ არის, მაგრამ ეს ციფრი მართალი ციფრი არ არის, ჩვენ გაცილებით მეტი დეფიციტი უნდა ვიგულისხმოთ. შემცდარი არ ვიქნები თუ ამას მივუმატებთ იმ თანხას, რომლიც შემოსავალშია ნავარაუდევი სახაზინო ქონებასა და თანხებიდან, არც შემოსულა და ჯერჯერობით ვერც შემოვა, ასე რომ დეფიციტი მილიარდ ნახევარს მარტო ამ შემთხვევაში უწევს; ეს ფაქტი ძლიერ დამაფიქრებელი უნდა ყოფილიყო დამფ. კრების წევრთათვის მიუხედავათ მათი პოლიტიკური დიფერენციაციისა. მაგრამ ეს ციფრიც ცოტაა. დეფიციტი კიდევ მეტია და მაგრამ ეს „მეტი“ სისწორით დღეს, ვატყობ არავინ იცის. ამავე დროს ჩვენი ფულის კურსი თან და თან ეცემა. თუ შარშან ამ დროს გირვანქა სტერლინგი 300 მან. ღირდა, დღეს იგი 3000 მან. ღირს. ჩვენ ვდგევართ ასეთი ფაქტის წინაშე. ერთის მხრით მილიარდებიანი დეფიციტი, მეორე მხრით ჩვენი ფულის კურსის თანდათანი დაცემა.

თუ ეს ორი მოვლენა ასე ერთი მეორის პარალელად განვითარდა, ჩვენ მალე კატასტროფას მივადგებით. ასეთი არის ფაქტი, სინამდვილე. იგი მეტად მძიმეა და სამწუხარო. ამ სინამდვილეს, ყველა ორატორმა, მიუხედავათ მისი პარტიული რწმენისა, უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და მიუდგომლათ აღინიშნოს მთავრობის როლი ამ მდგომარეობის შექმნაში და პასუხიც მას თხოვოს თუ ეს მისი პოლიტიკის წყალობით აღმოჩნდება. ამის შემდეგ ჩემთვის გაუგებარია ის მორალური კმაყოფილება, რომელიც გამოიჩინა უმრავლესობის ფრაქციამ, ოპოზიციასთან კამათის დროს და ის, რომ მან მთავრობა ყველაფერში გაამართლა თუ თქვენ გაცნობილი ხართ იმ სარევიზიო მასალას, რომელიც დაგროვდა ამ ორი წლის განმავლობაში, თქვენ არ შეგიძლიათ კმაყოფილი იყოთ იმ მეურნეობით, რომელსაც მთავრობა აწარმოებს ჩვენს უწყებებში ასეა, როდესაც უმრავლესობის ფრაქცია, მთავრობას ყველაფერში ტაშს უკრავს, ჩვენ იძულებული ვართ ვსთქვათ, რომ იგი სახელმწიფოს ინტერესის შეგნებამდე ვერ ამაღლებულა.

ხმა: დაივიწყეს.

სპ. კედია ასეთია ჩვეულებრივი საქციელი და სურათი დამფ. კრების მუშაობისა, მე მგონია, დროა ვიგრძნოთ, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ თავი სხვანაირად დავიჭიროთ, შევქნათ სხვა სურათი, გამოვსძებნოთ სხვა ენა და მეთოდი...

ეხლა მომარაგების სამინისტროს მივუბრუნდეთ. მომარაგების სამინისტრო დაიბადა ამ შვიდი თვის წინეთ და ამ ხნის განმავლობაში მას თავისი ანგარიში არ წარმოუდგენია.

მას არ გაუცვნია დამფუძნებელ კრებისთვის თავისი მოქმედება და არვიცი, რა ხდება, ან რის გაკეთება შეუძლია. მას არ აქვს დამფ. კრების მიერ დამტკიცებული შტატი და ბიუჯეტი და ამ დარგში ბ-ნი მინისტრი ისე იქცევა, როგორც მოენებება. ეს შეუწყნარებელი მოვლენაა, რომელიც უნდა აღინიშნოს ყოველმა წევრმა, მიუხედავათ პარტიულობისა. მომარაგების სამინისტრო ძალიან შინაურულად მოეწყო და მოქმედებს. მომარაგების მინისტრი არ სცნობს ხაზინას და მის ფუნქციებს, თუ ჩემი ცნობა მართალია. რესპუბლიკის ხაზინაში არ შესულა, ასე ვთქვათ ერთი გროშიც იმ სავალუტო საქონლის ღირებულებიდან რომელიც მან გაანაღდა. მაგ. მომარაგების სამინისტრომ გაჰყიდა საზღვარ გარეთ აბრეშუმის პარკი და შემოსული ფული, 600,000 ფრანკი, რომელიც აიღო, სახელმწიფო ხაზინას არ უნახავს. ხაზინაში არ შემოსულა არც სხვა სავალუტო საქონელი და ალევის ფული მაგალითად: არც მატყლის, თამბაქოსი და არც მარგანეცის ფული. ხოლო მომარაგების მინისტრი ვალდებული იყო ეს ფული ხაზინაში შეეტანა. დღეს არვიცით, რა გვაქვს და სად ძევს ის, რაც გვაქვს. მომარაგების სამინისტრო, როგორც მოეპრიანება, ისე აღრიცხავს მილიარდებს. და არვიცით მისი შტატი, არვიცით მისი ბიუჯეტი. იგი, ასე ვსთქვათ, არალეგალური სამინისტროა.

ხმა: ეს ახალ ბიუჯეტში შევა ალბათ.

კედია: თუ მართალია ჩემი ცნობა მომარაგების სამინისტროში დანიშნულია მაღალი ჯამაგირები, ისეთი, როგორიც არც ერთ სხვა სამინისტროში არ მოიპოვება. თქვენ წარმოიდგინეთ, განყოფილების უფროსს! ქონია ჯამაგირი 20 - 25.000 მან. და გარდა ამისა იღებენ თურმე კიდევ ეგრედ წოდებული „лично-присвоенный“-ს. ყოვლად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს სამინისტროს ამგვარი მოქმედება და მისი ამ სახით არსებობა. ჩვენ მოვითხოვთ სამინისტროს მოქმედება სავსებით გადაიშალოს დამფ. კრების წინაშე, რადგან ამ ბიუჯეტზე ბევრი რამ ითქვა, იგი ფაქტიურად უკვე გაწეულია და ფორმალურადაც უკვე დადასტურებული იყო გასული წლის განმავლობაში მაზე სიტყვის გარძელებას დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება, რეალური ხარჯ შემოკლების თვალსაზრისით. ამიტომ შევეცდები მის დეტალურ განხილ გვერდი ავუხვიო და დავხატო თქვ წინაშე ის ეკონომიური პოლიტიკის დეგები, რომელსაც მთავრობა აწარმო და ამ ხნის განმავლობაში და რომე საც ჩვენ მივყევართ მუდმივი დეფი ტისკენ.

ჩვენი ბიუჯეტის გასავალი ფუ კურსის გამაგრება დამოკიდებულია იმა თუ რამდენის გაგვაქვს და რამდენის შ მოგვაქვს. თუ გამოირკვა, რომ ჭამ უფრო მამაცნი ვართ, ვიდრე წარმოე ში, მაშინ, ცხადია, ჩვენი ბიუჯეტის მოსწორება განუხორციელებელი ოცნ ბა იქნება, ბიუჯეტის გამოსწორება დ მოკიდებულია სავაჭრო ბალანსის სისწ რეზე და ამ მხრივ, უნდა მოგახსენო ჩვენი მდგომარეობა ვერ არის კარ ეს განვლილი 1919 წელი გათავდ ვაჭრო ბალანსის მხრივ საგრძნობი დ ფიციტით. შემოვიდა 863 მილიონი ნეთისა, გავიდა—393. მილიონისა სავაჭ ბალანსის დეფიციტი ამგვარად უდ თითქმის ნახევარ მილიარდ მანეთს. არც გასაკვირველია, თუ მივიღებთ მ დველობაში იმ პოლიტიკას, რომელ აქამდის ვაწარმოებდით. რომ ეს პოლ ტიკა უფრო ნათელი იყოს, მე საჭირ მიმაჩნია ეხლა გადავიდე კონკრეტუ მაგალითებზე; რადგან მაგალითები ბ რია და მათი აღნუსხვა შორს წაგვიყვ და, მე გავჩერდები ერთ მაგალით ერთ დარგზე, რომელიც არა ერთხ ყოფილა დამფ. კრების ყურადღების განი. მე სახეში მაქვს თამბაქოს წ მოება.

(შემდეგი იქნება)